ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა
(სისხლის სამართლის სპეციალიზაცია)

არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პრობლემატიკა საქართველოსა და გერმანიის შედარებითი ანალიზის საფუძველზე

თემის ავტორი: ნატალი თარაშვილი

E-Mail : Natalie.tarashvili@gmail.com

ტელ. : 558934353

ხელმძღვანელი : ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი იოსებ ვარძელაშვილი

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

2019 წელი

თბილისი

სარჩევი

შესავალი 4
I. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის ისტორიული ექსკურსი 5
1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა საბჭოთა კავშირის პერიოდში 5
2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა 2000 წლის შემდგომ 7
II. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი 10
1. არასრულწლოვნის ასაკი 10
2. არასრულწლოვნისთვის დადგენილი სასჯელის სახეები 12
2.1. ჯარიმა, როგორც მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა 12
2.2. შინაპატიმრობა და მისი შედარება თავისუფლების აღკვეთასთან 14
2.3. თავისუფლების აღკვეთა 17
3. არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები და მიმართება თავისუფლების აღკვეთასთან 20
4. არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სტატისტიკა საქართველოში 22
5. თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახით დანიშვნა და მისი ზემოქმედება არასრულწლოვნებზე 24
5.1. რესოციალიზაცია 24
5.2. გარე სამყაროსთან ურთიერთობა 26
5.3. ფსიქოლოგიური ზეგავლენა 28
5.4. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება 29
6. პირობითი მსჯავრი; პირობით ვადამდე გათავისუფლება, როგორ საპატიმრო ღონისძიების აცილების საშუალება 31
7. თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სტატისტიკა და თავისებურებები გერმანიაში 34
III. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი 38
1. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, როგორც უმნიშვნელოვანესი პრინციპი, მიზანი, გარემოება 38
2. არასრულწლოვნის განრიდება და მედიაცია, როგორ საპატიმრო ღონისძიების ალტერნატივა 42
3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა 45
4. არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნის პრიორიტეტულობა 48
IV. არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება საერთაშორისო სამართლის ჭრილში 51
დასკვნა 56
რეკომენდაციები 57
ბიბლიოგრაფია 58

აბრევიატურები

ამკ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

სსკ სისხლის სამართლის კოდექსი

გაერო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ჰავანის წესები გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად

რიადის პრინციპები გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ

პეკინის წესები გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ

გსსკ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი

JGG Jundestrafgesetzbuch

StGB Strafgesetzbuch

HessJStVollzG Hessiches Jugendstrafvollzugsgesetz

BGB Bürgerliches Gesetzbuch

შესავალი

არასრულწლოვანთა დამნაშავეობრივი ქმედება არ დაწყებულა არც გუშინ, არც დღეს. საქართველოს არც გახლავთ „პიონერი“ ამ საკითხში. მას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იმისდა გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვნებში მოიაზრება პირი 14-დან 18 წლამდე, ზუსტად ეს შუალედი არის პიროვნების ჩამოყალიბების პერიოდი. ხშირია, როცა არასრულწლოვანთან ერთად მოიხსენიებენ : მეამბოხე, დაუმორჩილებელი, საკუთარ ჭკუაზე მოსიარულე და ა.შ. ისინი ჯერ კიდევ ეცნობიან სამყაროს, იძენენ გამოცდილებას, უყურებენ განსხვავებული თვალით, ჩადიან შეცდომებს და სწავლობენ მათზე. ამ პერიოდში განსაკუთრებით სენსიტიურია მოზარდის ფსიქიკა და ყველანაირ წინააღმდეგობას უფრო დიდი წინააღმდეგობით ხვდება.

საქართველოში 2015 წელს პროგრესული ნაბიჯი გადაიდგა - შეიქმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. 2015 წლამდე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რეგულაცია ხორციელდებოდა სისხლის სამართლის კოდექსით და შეიცავდა ბევრ უზუსტობას. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ახალი კოდექსის შემოღებამ უფრო მიგვაახლოვა ევროპული სტანდარტებთანა და საერთაშორისო ნორმებთან.

ამ პერიოდიდან მოყოლებული ბევრი პროფესორისა და ამ საკითხით დაინტერესებული პირის მიერ განხორციელდა მრავალი კვლევა, დაიწერა ნაშრომი და გაანალიზებული იქნა ახალი მიდგომები არასრულწლოვნების მიმართ.

მიუხედავად ამისა, არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, თავისი სიახლიდან გამომდინარე, შეიცავს ბევრ წინააღმდეგობრივ ნორმას, რაც, თავისთავად, ვერ აყალიბებს ერთგვაროვან პრაქტიკას. ამას გარდა, განსაკუთრებულად თვალშისაცემია არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის საკითხი, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის ნორმა, რომელიც არამხოლოდ ზედმეტად მკაცრია, არამედ, რიგ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება კიდევაც კოდექსით მკაფიოდ დაცულ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს, მის რესოციალიზაციასა და სრულფასოვან განვითარებას.

მოცემული კვლევა ეხება თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახით დანიშვნის პრობლემატიკას და საქართველოს მდგომარეობის შედარებას ამ საკითხში

გერმანიის მდგომარეობასთან. პირველ თავში მოკლედ მიმოხილული იქნება ისტორიული ექსკურსის სახით, როგორი იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საბჭოთა კავშირისა და მის შემდგომ პერიოდში. მეორე თავი ეხება მთლიანად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებებს; ჩემს მიერ განხილული იქნება ასაკი, სასჯელის სახეები და, როგორც მათი დანიშვნის ზოგადი საწყისები, აგრეთვე პრობლემური საკითხები. ბუნებრივია, გამახვილებული მექნება ყურადღება თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პრობლემატიკაზე , მის ზემოქმედებაზე არასრულწლოვნებზე. ეს ყველაფერი გაანალიზებული იქნება გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე დაყრდნობით და თავისებურებების განხილვით. მესამე თავი ეძღვნება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებას და მის პრიორიტეტულობას. მეოთხე თავში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება როგორაა გაგებული საერთაშორისო აქტებსა და ნორმებში. ჩემს მიერ გამოთქმული იქნება აგრეთვე რეკომენდაციები და დასკვნა მოცემულ ნაშრომთან დაკავშირებით.

ძირითადად გამოყენებული იქნება ისტორიული, შედარებითი კვლევის მეთოდები.

I. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის ისტორიული ექსკურსი

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა საბჭოთა კავშირის პერიოდში

საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსმა დროთა განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეისობით ის უკვე ისტორიის ნაწილად ითვლება, საერთო სურათის შესაქმნელად მაინც საინტერესო იქნებოდა გადაგვევლო თვალი, როგორი მიდგომა ჰქონდა მაშინდელ ხელისუფლებას არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ იმ პერიოდშიც კი, როდესაც სრულწლოვანი ადამიანების სიკვდილით დასჯა, რეპრესია ხორციელდებოდა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 1961 წლის რედაქციით ტერმინ არასრულწლოვნის პირველ

მოხსენიებას ვხვდებით მე-12 მუხლში, რომელიც აყალიბებს არასრულწლოვნის პასუხისმგებლობას. კერძოდ, პირველივე ნაწილში განსაზღვრულია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 16 წელი. [1] ლიბერალურ მიდგომას ამყარებს მეორე ნაწილი, რომელიც აკისრებს პასუხისმგებლობას პირს, რომელიც არიც 14-16 წლამდე ასაკის. ამას გააჩნია გარკვეული წინაპირობა - მან უნდა ჩაიდინოს ამავე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულები.

სსს რესპუბლიკის სს კოდექსით გათვალისწინებულია აგრეთვე სასჯელის გამოყენების თავიდან არიდების საშუალებები, როგორიცაა, დაზარალებულის წინაშე ბოდიშის მოხდა, გაფრთხილება, საყვედურის გამოცხადება და ა.შ. [2] ამავე კოდექსით გათვალისწინებული სიკვდილით დასჯა არ ეხება არასრულწლოვნებს. თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით აგრეთვე გვაქვს იმ დროისთვის ლმობიერი საზღვრები - არაუმეტეს 10 წლისა. მსგავსი მიდგომა ვრცლდება აგრეთვე სასჯელის სხვა სახეებზე. [3] იგივე კოდექსი არასრულწლოვნების მიმართ იცნობდა აგრეთვე ვადამდე გათავისუფლების, პირობითი მსჯავრისა და უფრო მსუბუქი სასჯელის სახით ცვლილების გამოყენების შესაძლებლობას, [4] რაც, თავისთავად, არასრულწლოვნების მიმართ ზრუნვისა და განსაკუთრებული მიდგომის გამომსახველია.

კოდექსსში ვერ ვხვდებით არასრულწლოვნების მიმართ ცალკეულ, განსხვავებულ მიდგომას სასჯელის მიზანთან დაკავშირებით. კოდექსის 22-ე მუხლით, სასჯელი მიზნად ისახავს არა მხოლოდ დამნაშავის დასჯას, არამედ მის აღზრდას; შრომისადმი, კანონთა ზუსტი შესრულებისადმი, საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის გაღვივებას. ბუნებრივია დავიწყებული არ იქნა ახალი დანაშაულის პრევენციის მიზანი. აგრეთვე, რაც საკმაოდ საინტერესოა, სასჯელის მიზანი არ იყო ფიზიკური ტანჯვა ან ადამიანის ღირსების დამცირება. [5] რა თქმა უნდა, მაშინდელი კოდექსით სასჯელის მიზნები ზუსტი ასახვაა იმისა, რაც სურდა მაშინდელ ხელისუფლებას. მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო პატიოსანი მოქალაქის

[1] საქართველოს საბჭოთა სოციალური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, მე-12 მუხლი. 1961 წელი.
[2] ამავე კოდექსის 64-ე მუხლი.
[3] ამავე კოდექსის 25-ე, 26-ე, 27-ე მუხლები.
[4] ამავე კოდექსის 55-ე მუხლი
[5] ამავე კოდექსის 22-ე მუხლი

ყოლა, რომელიც ჩაბმული იქნებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე დამნაშავე, რომელიც იჯდებოდა ციხეში და ხელისუფლების სარჩენი იქნებოდა, ვერ მოიტანდა სარგებელს სოციალური სახელმწიფოსთვის. კონკრეტული მიზანი ვრცელდებოდა აგრეთვე არასრულწლოვნების მიმართ. ეს მაინც უნდა ჩაითვალოს წინგადადგმულ ნაბიჯად და ყოველი ქვეყნის კოდექსის საფუძვლად, რომელიც შემდგომში უფრო ახლებურად, გასაგებად და კონკრეტული დროის შესაბამისად იქნა ჩამოყალიბებული.

როგორც ზემოთ აღწერილიდანაც ჩანს, საბჭოთა კავშირი არ იცნობდა არასრულწლოვნების მიმართ ცალკეულ კოდექსს. თუმცა, იმდროინდეილი პერიოდისთვის მოზარდების მიმართ მაინც ლმობიერ მიდგომას ვხვდებით. რეპრესიული, მკაცრი მმართველობის პერიოდში, სადაც ელემენტარული საკონსტიტუციო უფლებები არ იყო დაცული, ეს უკვე შეგვიძლია ჩავთვალოთ განსაკუთრებულ შემთხვევად. მაშინდელი კოდექსის ბევრ ნორმას დღესაც კი შვევხდებით არასრულწლოვნების კოდექსში, ახლებური სახით, რაც შემდგომში მექნება განხილული.

2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა 2000 წლის შემდგომ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრი ცვლილება იქნა შეტანილი არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ ყველა ნორმატიულ აქტში. ჯერ კიდევ 1999 წლამდე სისხლის სამართლის სრული პასუხისმგებლობის ასაკი საქართველოში იყო 16 წელი, 14-16 წლის მოზარდების პასუხისმგებლობის საკითხი დაისმოდა შედარებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. 1999 წელს კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სს პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლიდან დაიწყო. [6]

2000 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მეხუთე თავი არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობას ეხებოდა. ეს შეიძლება წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალოს მართლმსაჯულებისთვის. მე-80 მუხლით განისაზღვრა, რომ არასრულწლოვნების პასუხისმგებლობა შეიცვლებოდა და გახდებოდა 14

[6] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, გვ 1. თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წელი.

წლიდან. ამასთანავე, ამავე თავით განისაზღვრა სასჯელის კონკრეტული სახეები და ზომები.

საბჭოთა კავშირის კოდექსისგან განსხვავებით, საინტერესო ცვლილება შეეხო თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას. სსკ-ის 88-ე მუხლის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთა ინიშნება არაუმეტეს 10 წლის ვადით. ეს ძირითადად შეეხო 14-16 წლამდე მოზარდებს. ამასთანავე, თუ 16-18 წლამდე არასრულწლოვანი ჩაიდენდა განსაკუთრებით მძიმე ხასიათის დანაშაულს, შესაძლებელი იყო თავისუფლება მისთვის 15 წლის ვადითაც აღეკვეთათ. როგორც აქედანვე ჩანს, სასჯელის ზომა გამკაცრდა საბჭოთა კავშირის პერიოდთან შედარებით.

მოგვიანებით, 2010 წლის სს კოდექსში ვხვდებით ამ ნორმის სრულყოფას იმ სახით, როდესაც ხდება სასჯელის 1/3-ით და 1/4-ით შემცირება, არასრულწლოვნის ასაკთან მიმართებით. [7] რაც კანონმდებლის უდავოდ სრულყოფილებისკენ სწრაფვას მიანიშნებს.

საინტერესო სიახლედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ის, რომ სასჯელის დანიშვისას, ზოგად წესებთან ერთად, რომელიც გამოიყენება სრულწლოვნის შემთხვევაში, მოსამართლისთვის აუცილებელი გახდა გაეთვალისწინებინა მოზარდის ფსიქიკური მდგომარეობა, ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ.[8]

საგულისხმოა აგრეთვე პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობები, რომელიც სრულყოფილი იქნა და ზუსტად განისაზღვრა, რა შემთხვევაში შეიძლება მისი გამოყენება.

წინგადადგმული ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ ხანდაზმულობის ვადები, რომელიც არასრულწლოვნის შემთხვევაში ნახევრდებოდა, სრულწლოვანთან შედარებით.[9] აგრეთვე სიახლე და პროგრესული ნორმაა ნასამართლობის ცნების

[7] სისხლის სამართლის კოდექსი, 88-ე მუხლი, 2010 წელი
[8] ამავე კოდექსის 89-ე მუხლი
[9] ამავე კოდექსის 99-ე მუხლი

შემოღება და ვადების განსაზღვრა, რომელიც არასრულწლოვანთა შემთხვევაში განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა.[10]

ძირითადი ცვლილებები 2000 წლიდან ეხებოდა სასჯელის სახეების ზუსტად ჩამოყალიბებასა და განსაზღვრას, ლმობიერი მიდგომის დანერგვას, სხვადასხვა აღმზრდელობითი ღონისძიებების წინ წამოწევას, პირობითი მსჯავრის სრულყოფას. ამასთნავე, საგულისხმოა, რომ არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესისთვის არ იყო გათვალისწინებული რაიმე განსაკუთრებული თავისებურებები და სახელმძღვანელო კოდექსი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

სისხლის სამართალში ბოლო პერიოდის ყველაზე დიდ მიღწევად შეგვიძლია ჩავთვალოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემოღება, რომელიც 2016 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა და რომელშიც ახლებურადაა გადაწყვეტილი არასრულწლოვანთა როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი.[11]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა აერთიანებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში გამოყენებად კანონმდებლობას, ნორმებს, სტანდარტებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურებს, მექანიზმებს, დებულებებს და შესაბამის ინსტიტუტებსა და ორგანოებს. [12]

ახალმა კოდექსმა სხვადასხვა საერთაშორისო აქტებისა და წესების გათვალისწინებით მეტნაკლებად ზუსტად ჩამოაყალიბა ცნებები, განსაზღვრა სასჯელის სახეები,მათ შორის ახალი, და მათი გამოყენების წინაპირობები. სპეციალურად არასრულწლოვნებისთვის დადგინდა სასჯელის მიზნები, რომლებიც გარკვეულწილად განსხვავდება სრულწლოვანებისგან. დადგინდა არასრუწლოვანთა პროცესის ჩამტარებელი განსაკუთრებული სუბიექტების მიმართ წარდგენილი მოთხოვნები და, ზოგადად, მთლიანი პროცესის

[10] ამავე კოდექსის მე-100 მუხლი

[11] არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, ავტორთა კოლექტივი, გვ 5, თბილისი, 2017 წ.

[12] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ქ. ჰამილტონი, გვ 19, თბილისი 2011 წ.

მსვლელობის განსაკუთრებული ნორმები. ახალი კოდექსი გახდა უფრო ლოიალური არასრულწლოვნების მიმართ, თუმცა, მისი სიახლიდან გამომდინარე შეიცავს ჯერ კიდევ ბევრ უზუსტობას, რომელსაც მოცემულ ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევეხები.

II. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი

1. არასრულწლოვნის ასაკი

როგორც უკვე ზემოთ განვიხილე, ქართულ სისხლის სამართალში განსხვავებულ პერიოდში სხვადასხვა მიდგომა იყო არასრულწლოვნის ასაკთან მიმართებით. დღესდღეისობით სისხლის სამართლის კოდექსი (შემდგომში - სსკ) აწესებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას 14 წლის ასაკიდან.[13] ამასთანავე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით (შემდგომში - ამკ) ზუსტადაა განსაზღვრული, ვინ წარმოადგენს არასრულწლოვანს, კერძოდ, 14-18 წლამდე ასაკის პიროვნება[14]. მოცემული ასაკი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით არის დაწესებული. არის თუ არა კონკრეტული ასაკი იმის განმსაზღვრელი, შეეძლო თუ არა არასრულწლოვანს თავის მიერ ჩადენილი ქმედების გააზრება? მრავალი სოციოლოგისა თუ ფსიქოლოგის კვლევით, ადამიანი სულიერად, გონებრივად სრულწლოვანი უფრო გვიანაც კი, 22, 25, 27 წლის ასაკში ხდება. თუ ზუსტად ვერ ხდება ასაკის დადგენა, ამ შემთხვევაში, სამოქმედო პრინციპად უნდა ჩავთვალოთ in dubio pro reo[15]. მაშინ რატომ განისაზღვრა ჩვენი კანონმდებლის მიერ ზუსტად ეს შუალედი? მაგალითისთვის, გერმანიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 1923 წელს მოიცავდა მხოლოდ 14-18 წლამდე პირებს. 1953 წლიდან, უკვე მოზარდების (Heranwachsende) მიერ ჩადენილი ქმედებების რეგულირებაც ხდება ამავე კოდექსით, რაც დაახლოებით მთლიანი რაოდენობის 60%-ს შეადგენს. უფრო მეტიც კი - განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულების დროსაც კი ხდება ამკ-ს

[13] სისხლის სამართლის კოდექსი, 33-ე მუხლი

[14] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

[15] ამავე კოდექსის 26-ე მუხლი

გამოყენება, მრავალფეროვანი შესალებლობისდა გამო.[16] მოზარდები, გერმანიის ამკ-ით წარმოადგენენ 18-21 წლამდე პირებს.[17] მათთვის გამოიყენება ეს კოდექსი იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავის შესწავლიდან და გარემოს გათვალისწინებით დგინდება, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის ჯერ კიდევ არასრულწლოვნის განვითარების დონეზე იყო ან დანაშაულის ჩადენის ხერხი, გარემოებები არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ ჰგავს.[18] გერმანულ პრაქტიკაში გამოიყენება ტერმინი „ჩამორჩენილი მომწიფება“ (Reiferückstand). მსგავსი მდგომარეობა ხასიათდება : გარკვეული სამომავლო გეგმების არარსებობა, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების და განსჯის უნარების არქონა, მსგავსი ასაკობრივი ჯგუფის წევრებთან ინტეგრაციის შეუძლებლობა და ა.შ.[19] გერმანული სისხლის სამართალი უტოვებს შესაძლებლობას მოსამართლეს, რომ 21 წლამდე ასაკის მოზარდიც კი მოაქციოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქვეშ.

ევროპული სამართლის გავლენად შეგვიძლია ჩავთვალოთ ქართველი კანონმდებლის მიერ გარკვეულწილად მოზარდების მიმართ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გავრცელება. 18-21 წლამდე პირებს შეუძლიათ ისარგებლონ უფასო იურიდიული დახმარებითა და მათზე ვრცელდება აგრეთვე განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტი. [20] თუმცა, ეს, ამავდროულად, არ არის საკმარისი. წარმოუდგენლად მიმაჩნია, როცა პირს შეუსრულდება 18 წელი, დიდად განსხვავდებოდეს თავისი განვითარების დონით 17 წლისა და 363 დღის პირისაგან. 18 წელს მიღწეული მოზარდი არ შეიძლება ავტომატურად ჩავთვალოდ საკმარისად მომწიფებულად. თუკი მართლმსაჯულება აგებულია გარდატეხის ასაკში მყოფი პირების დახმარებაზე, ყოველი შემთხვევა ცალკეულად უნდა იქნეს განხილული. შესაბამისად, მხოლოდ გარკვეულწილად, მცირედი დოზით გერმანული სამართლის გაზიარება არ შეიძლება ჩავთვალოთ საკმარისად. უმჯობესია, მთლიანად გადმოვიღოთ მოზარდებთან დაკავშირებული ნორმები. რა თქმა უნდა, ბრმად და დაუფიქრებლად არ უნდა მოხდეს ყველა 18-21 წლამდე ასაკის პირებზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გავრცელება, თუმცა, დაკვირვების, გამოძიების, კვლევის შედეგად ეს ასეც უნდა მოხდეს.

---

[16] Das deutsche Jugendstrafrecht Ziel, Handhabung, Wirkungen. Dr. W. Heinz, S. 3, 2008

[17] JGG, § 1

[18] ამავე კოდექსის § 105

[19] Strafrecht\Jugendstrafrecht, Prof. B. Behnke, S. 13. 2017

[20] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-2 მუხლი

2. არასრულწლოვნისთვის დადგენილი სასჯელის სახეები

საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული არასრულწლოვნებთან მიმართებით ხშირად იცვლებოდა სასჯელის სახეები. ზოგ შემთხვევაში ეს იყო ძალიან რადიკალური, ზოგ შემთხვევაში კი შესაუბამო სახეები. ყოველივე ამან ევროპული სამართლის გავლენით დროთა განმავლობაში ტრანსფორმაცია განიცადა და ერთიანი სახე მიიღო. იმ პერიოდიდან მოყოლებული, რაც შემოვიდა ამკ, მკაფიოდ დაწესდა კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდებისთვის სასჯელის სახეები, რომელიც ამავე კოდექსის 66-ე მუხლით არის : ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. ამასთანავე, ჩამოყალიბდა ძირითადი და დამატებითი სასჯელები და განისაზღვრა საზღვრები. რა თქმა უნდა, შეგვიძლია ეს მივიჩნიოთ არასრულწლოვნისადმი ლიბერალურ მიდგომად, თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, კოდექსის ეს თავი მაინც საჭიროებს სრულყოფას.

მოცემულ ქვეთავში ჩემს მიერ ყურადღება გამახვილებული იქნება 3 სასჯელზე - ჯარიმა, შინაპატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს კიდევაც ნაშრომის მთავარ თემას.

2.1. ჯარიმა, როგორც მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა

მოცემული სასჯელის სახეს სსკ-შიც ვხვდებით და განსაზღვრავს მისი დანიშვნის წესებს. [21] ამკ-ში აგრეთვე გადმოტანილია ეს ნორმა, თუმცა, სახეშეცვლილად. 68-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ არასრულწლოვანს სასჯელის სახედ ეკისრება ჯარიმა იმ შემთხვევაში, თუ აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი და აგრეთვე, ჯარიმის ოდენობა არის სსკ-ით დადგენილი მინიმალური ზღვრის ნახევარი. საგულისხმოა, რომ კოდექსში პირდაპირ არაა მითითებული თანხის ოდენობა, არამედ მკითხველი „გადამისამართებულია“ სსკ-ზე. საბოლოოდ, არასრულწლოვნებისთვის დაწესებულია მინიმალურად 1000 ლარის ჯარიმა. თუმცა, ისევე, როგორც სრულწლოვნების შემთხვევაში, არ არის მაქსიმალური ზღვარი დაწესებული, რაც უკვე მიანიშნებს კოდექსის ხარვეზზე, მით უმეტეს, არასრულწლოვნების შემთხვევაში, რადგან საქმე გვაქვს განსაკუთრებულ

[21] სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლი

ჯგუფთან. ბუნებრივია, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს საშუალება, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით დააკისროს მაქსიმალურად ზუსტი ჯარიმა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებასაც უნდა ჰქონდეს გარკვეული ზღვარი. სისხლისსამართლებრივი ნორმის ადრესატისთვის პროგნოზირებადი უნდა იყოს ნორმის დარღვევის შემთხვევაში დაწესებული სანქცია.[22]

გერმანიის ამკ არ იცნობს სასჯელის სახედ ჯარიმას. მოცემული სასჯელი გათვალისწინებული მხლოდ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში (შემდგომში - გსსკ). ჯარიმის დაკისრება ხდება პირის დღიური ანაზღაურების მიხედვით და მოიცავს მინიმალური ოდენობით 5 დღის ანაზღაურებას, ხოლო მაქსიმალური - 36 დღის. [23] ამ შემთხვევაში ხდება კანონის დამრღვევის შესაბამისად დასჯა, გათვალისწინებულია პირის ეკონომიკური მდგომარეობა და ხდება პროპორციულობის პრინციპის დაცვა. ჯარიმა ერთი მხრივ დადებითია, რადგან ხდება მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის თავიდან აცილებად (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნების შემთხვევაში), მეორე მხრივ უარყოფითი მხარეა ის, რომ ჯარიმის გადახდა სხვა პირსაც შეუძლია დამნაშავის ნაცვლად. [24]

საქართველოში კანონმდებელმა განსხვავებული მიდგომა დააწესა ამკ-ში. როგორც აღვნიშნე, არასრულწლოვანს მხოლოდ მაშინ ეკისრება ჯარიმა, როცა აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. გარკვეულწილად, კანონის მიზნიდან გამომდინარე, ამ ნორმის შემოღება წინგადადგმული ნაბიჯია იმ მხრივ, რომ ჯარიმის დაკისრება საბოლოოდ არ იქნება მშობლის, ნათესავის „სასჯელი“, რადგან, ძირითადად, ისინი იხდიდნენ და ეს პირდაპირ ზემოქმედებას იქონიებს დამნაშავე არასრულწლოვანზე. მეორე მხრივ, ამგვარი ჩამოყალიბებით ნორმა უმეტესწილად უსარგებლო ხდება. საქართველოში ძალიან მაღალია უმუშევრობის დონე. შესაბამისად, სრულწლოვნისთვისაც კი რთულია სამსახურის პოვნა, არათუ არასრულწლოვნისთვის. ამასთანავე, პირადი დაკვირვებით, ახალგაზრდები, რომლებიც დასაქმებულები არიან, თუნდაც სხვადასხვა

[22] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ი.შვაბე, გვ. 271, თბილისი, 2011

[23] StGB § 40

[24] სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში / საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, გვ 676, თბილისი, 2016

სარეკლამო ბუკლეტების დარიგებით, მანქანების სამრეცხაოზე მუშაობით, ნაკლებად არიან მიდრეკილები კანონის დარღვევისკენ. თუმცა, გამონაკლისი შემთხვევებიც არსებობს. ამასთანავე დათქმა „კანონიერი შემოსავალი“ უზუსტო და ორაზროვანია. თუ შემოსავალი არ არის ლეგალური, კანონიერი, ეს სამართალდამცავი ორგანოებისთვის მანამდეც უნდა გახდეს ცნობილი, რომლებმაც შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ.[25]

საქართველოში არასრულწლოვნების მაგალითზე ჯარიმის გამოყენების სტატისტიკას რომ გადავავლოთ თვალი, პირდაპირ გვიჩვენებს ამ მუხლის ხარვეზს. თუ 2015 წელს 30 არასრულწლოვანს დაენიშნა ჯარიმა სასჯელის სახედ, 2016 ეს რიცხვი 6-მდე შემცირდა, ხოლო 2017 წლის პირველ ნახევარში მხოლოდ 1. [26] აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა, ეს მუხლი ჩამოყალიბებულიყო სხვაგვარად ან, გერმანიის მაგალითად, სრულად ამოღებულიყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან, რადგან მან თავისი ძირითადი აზრი ფაქტობრივად დაკარგა.

2.2. შინაპატიმრობა და მისი შედარება თავისუფლების აღკვეთასთან

შინაპატიმრობა, როგორ სასჯელის სახე, ნოვაციაა ქართულ სისხლის სამართალში. ამკ-ში მოცემულია განმარტება, რას მოიცავს სასჯელის ეს სახე, რამდენი ხნით შეიძლება მისი გამოყენება და ა.შ. [27] მოცემული სიახლე უკვე შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი, რადგან ის წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახედ გამოყენების არიდების საშუალებას, თუმცა, შევეცდები ოდნავ ჩავუღრმავდე ამ საკითხს.

გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არ იცნობს მსგავსი სასჯელის სახეს. გამონაკლისის სახით შეგვიძლია დავასახელოთ ჰესენის მიწა.[28] მოცემული უფრო გავრცელებულია გსსკ-ში, როგორც პირობითი მსჯავრის მაგიერ, აგრეთვე

[25] არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა/ სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, თ. მახარობლიძე, გვ. 47, თბილისი, 2017

[26] არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა, 31 ოქტომბერი, 2017 წელი.
http://pog.gov.ge/res/docs/public_information/arasrulclovanta_mimart_sisxli_samartlis_politika.pdf

[27] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლი

[28] HessJStVollzG § 16

პატიმრობის გამოყენების შემდეგ ზედამხედველობის მიზნით.[29] არაპირდაპირი მინიშნებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ამბობს, რომ ბავშვებს აქვთ უფლება არაძალადობრივ აღზრდაზე და სხეულებრივი სასჯელის (რაშიც იგულისხმება შინაპატიმრობა (Hausarrest)) გამოყენება არამართლზომიერია.[30] შესაბამისად, გერმანიაში ასე თუ ისე უარს ამბობენ მოცემული სასჯელის სახის გამოყენებას არასრულწლოვნების, ბავშვების მიმართ.

შინაპატიმრობის აღსრულება, როგორც წესი, ელექტრონული სამაჯურის მეშვეობით ხორციელდება. საინტერესოა, რომ გერმანიაში მისი გამოყენების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს თავად დანაშაულის ჩამდენის თანხმობა.[31] მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, სასჯელის ეს სახე ლმობიერია, აქვს უარყოფითი თვისებებიც. დადებითად აფასებენ, რადგან ელექტრონული სამაჯური სახელმწიფოს გაცილებით ნაკლები უჯდება, ვიდრე პატიმრის შენახვა. საქართველოში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ერთი პირის რჩენა 31 ლარი ჯდება, ხოლო ელექტრონული სამაჯური / დაახლოებით 10 ლარამდე.[32] თუმცა, ამით ვერ გამართლდება მისი უარყოფითი მხარეები.

პირველ რიგში, ის ხილვადია. შესახედავად შესაძლოა ადამიანს აგონებდეს შუასაუკონოებრივ პერიოდს, როდესაც მონებს სპეციალური სამაჯურები ეკეთათ. აგრეთვე, მოცემული სამაჯურით მხოლოდ პირის ადგილსამყოფელის დადგენაა შესაძლებელი და არა ის, კონკრეტულად რას აკეთებს. ყველაფერთან ერთად, ხდება პირზე ზემოქმედება და ის თავს „ფსიქიკურ საპყრობილეში“ გრძნობს.[33]

არ უნდა დაგვავიწყდეს არასრულწლოვნების მიმართ სასჯელის მიზანი - რესოციალიზაცია. რამდენად შესაძლებელია მოზარდი არ გახდეს ე.წ. ბულინგის მსხვერპლი თანატოლების, უფროსების მხრიდან, როდესაც ჩვეულებრივად შეიძლება დანახვა, რომ მას ელექტრონული სამაჯური უკეთია. მიუხედავად იმისა,

[29] StGB § 56f, 68 f

[30] BGB § 1631

[31] Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „elektronischen Fußfessel“: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Instituts der Leibniz Universität Hannover, Önel G. S. 6. 2012

[32] სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში / საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, გვ 709, თბილისი, 2016

[33] Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „elektronischen Fußfessel“: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Instituts der Leibniz Universität Hannover, Önel G. S. 4-5. 2012

რომ ამკ-ით განმტკიცებულია არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა, [34] ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება მას პირდაპირ ეწინააღმდეგება. შინაპატიმრობის სასჯელის სახედ შემოღების მიზანიც ხომ ის იყო, რომ არასრულწლოვანი არ სცილდება ოჯახს, სოციალურ გარემოს და ურთიერთობის დამყარების უნარს არ კარგავს. მოცემული ფორმა კი მის სტიგმატიზაციას უწყობს ხელს. არ ხდება არასრულწლოვნისთვის სასჯელის მიზნიდან გამომდინარე ხელშეწყობა. უბრალო კონტროლი, დროის რა შუალედში სად იმყოფება, არაფრის მომტანია.

აგრეთვე, კითხვის ნიშანს ბადებს დათქმა, რომ შინაპატიმრობას ხელი არ უნდა შეუშალოს ანაზღაურებად სამსახურს. ეს ცოტა უცნაურია. როგორც მაღლა აღვნიშნე, სამაჯური ხილვადია. საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, როცა სრულწლოვანისთვისაც კი რთულია სამსახურის შოვნა, არასრულწლოვანს, რომელსაც სამაჯური უკეთია და პირდაპირი მანიშნებელია, რომ კანონთა კონფლიქტში იყო, შანსები, ფაქტობრივად, არ აქვს. ამასთანავე, საინტერესოა კანონმდებლის მიერ სიტყვა „ანაზღაურებადის“ შემოტანა. სავსებით შესაძლებელია, არასრულწლოვანი თავისი სამომავლო გეგმების განსახორციელებლად გადიოდეს ან სურდეს არაანაზღაურებადი სამსახურის დაწყება, სტაჟირების გავლა. ამან შესაძლოა შემდგომში ხელი შეუწყოს მის განვითარებას, სოციალიზაციას, იყოს უფრო დიდი და დადებითი შედეგის მომტანი. შესაბამისად, ჩემი გადმოსახედიდან, კანონში არ უნდა იყოს გამახვილებული ყურადღება მხოლოდ შემოსავლის მომტან სამსახურზე.

მიუხედავად იმისა, რომ დადებითია ასეთი სასჯელის სახის შემოღება და ნებისმიერი ხერხით თავისუფლების აღკვეთის თავიდან არიდება, უმჯობესია, რომ გავიზიაროთ ევროპული გამოცდილება, სადაც, პირველ რიგში, შინაპატიმრობის უმაღლესი ვადა 2 თვეც კი არის, მეორე მხრივ, საშუალოდ 27-30 წლის ასაკის ადამიანების მიმართ გამოიყენება.[35]

ყოველ შემთხვევაში, სანამ სასჯელის ეს სახე ჯერ კიდევ არის ამკ-ში, მოსამართლეებს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ მისი დანიშვნის დროს

[34] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლი

[35] Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „elektronischen Fußfessel“: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Instituts der Leibniz Universität Hannover, Önel G. S. 12-13. 2012

და არ უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ როგორც თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახედ გამოყენების თავიდან არიდების შეუცვლელ „წამლად“.

2.3. თავისუფლების აღკვეთა

არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთა ამკ-ში მოცემულია 73-ე მუხლში, რომელიც აწესებს წინაპირობებს და საზღვრავს თავისებურებებს, რაც თავის მხრივ, კითხვებს ჰბადებს. პირველ რიგში, ვეთანხმები ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სათაური „ვადიანი თავისუფლების აღკვეთა“ არასწორია არასრულწლოვნების შემთხვევაში, რადგან უვადო თავისუფლების აღკვეთა მათ მიმართ საერთოდ არ გამოიყენება.[36]

სასჯელის მოცემული სახე წარმოადგენს ყველაზე მკაცრს. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია მკაფიოდ ამბობს, რომ თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და, ამასთანავე, უმოკლესი ვადით.[37] ბუნებრივია, ეს კონვენცია პირდაპირ არ ადგენს წესებს, მაგრამ შემოაქვს ჩარჩოები, სახელმძღვანელო პუნქტები, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დაცული არასრულწლოვნების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოს.

ამკ აწესებს შემთხვევებს, როდის აქვს უფლება მოსამართლეს გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთა სასჯელის სახედ. ერთ-ერთია, თუ არასრულწლოვანმა ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ დათქმიდან გამომდინარე, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ამ სასჯელის გამოყენება დაუშვებელია. ეს წინგადადგმული ნაბიჯი მართლმსაჯულებისთვის. როგორც ზემოთ განვიხილე, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის შეიძლება უფრო მსუბუქი სასჯელების დანიშვნა.

მცირე შედარების სახით, თავისუფლების აღკვეთა ერთადერთ სასჯელის სახედაა მითითებული გერმანიაში. გერმანიის ამკ-ის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახით გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ, თუ : 1. საქმე გვაქვს

[36] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე. გვ 147, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016

[37] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 37-ე მუხლის „ბ“ პუნქტი

საზიანო ტენდენციასთან (schädliche Neigung) ან 2. დანაშაულის სიმძიმე აიძულებს მოსამართლეს გამოიყენოს სასჯელის ეს სახე.[38] სხვა ყველაფერი, რაც რეგულირებულია გერმანიის კანონმდებლობით, არის აღმზრდელობითი და გამოსასწორებელი ღონისძიებები.

თავისუფლების აღკვეთის მიზანია დამნაშავეთა გამოსწორება და ახლებური სოციალური აღზრდა.[39] ამასთანავე, გარკვეულწილად, ამ სასჯელის მიზანია საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პოტენციურად საშიში დამნაშავეების იზოლირებითა და ზედამხედველობით. ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდება არასრულწლოვნების მიერ ასეთი სახის დანაშაულის ჩადენა. შესაბამისად, შანსი იმისა, რომ მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის ეს სახე უზრუნველყოფს მთავარი და განსაკუთრებული მიზნის აღსრულებას, წარმოუდგენელიც კია. პირიქითაც კი, ზუსტად თავისუფლების აღკვეთამ შესაძლოა განსაკუთრებულად იმოქმედოს არასრულწლოვანზე, რაც ვერ დაბალანსდება განსხვავებული მოპყრობითი ან პირობებით.[40]

თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კიდევ ერთი საფუძველი შეიძლება იყოს, როცა პირი თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელის შესრულებას. ამ შემთხვევაში, აუცილებელია საფუძვლიანად იქნებ გამოძიებული ის გარემოება, რა მიზეზით ხდება თავის არიდება. შესაძლებელია, დაინიშნოს სხვა ღონისძიება და არა პირდაპირ, გადაჭრით გადაწყდეს არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთა. როგორც აღვნიშნე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციოს გარემოებებს და, სასურველია, მოხდეს ფსიქოლოგთანაც გასაუბრება. ბუნებრივია, სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის აღზრდა, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა შეფასდეს, რამდენაც აღმზრდელობითი-გამოსასწორებელი ხასიათი აქვს საპატიმრო სასჯელს.

კიდევ ერთი საფუძველი, რა შემთხვევაშიც შეიძლება არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთა არის, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი. ეს დათქმა პირდაპირ ეწინააღდეგება ამკ-ში

[38] JGG § 17 Abs. 2

[39] არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა/ სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, თ. მახარობლიძე, გვ. 74. თბილისი, 2017

[40] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ქ. ჰამილტონი, გვ 114, თბილისი, 2011

განტმკიცებულ პრინციპებს. პირველ რიგში, ნასამართლობის მუხლს,[41] რომელიც ადგენს გაქარწყლების განსაკუთრებულ პირობებს. რა თქმა უნდა, დათქმა წინააღმდეგობაში მოდის არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების, პირადი ცხოვრების დაცულობის პრინციპებთანაც. უსამართლო მაშინაც იქნებოდა, თუ საქმე გვექნებოდა სრულწლოვნებთან. პირობითად, თუ პირმა 14 წლის ასაკში ჩაიდინა დანაშაული, გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, დაენიშნა ჯარიმა, 1000 ლარის ოდენობით და 17 წლის ასაკში აგრეთვე ჩაიდინა დანაშაული, ნაკლებად მძიმე, წარმოუდგენელია, რომ მისთვის სასჯელის სახედ შესაძლებელი იყოს თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა, როცა თავად მუხლშივე ის გამოიყენება მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დროს. [42] ოდესღაც ჩადენილი დანაშაული, რომლისთვისაც პირმა უკვე აგო პასუხი, მოიხადა სასჯელი, არ უნდა იქნებს გახსენებული და არ იქნებს სამომავლო სასჯელზე ზეგავლენის მომხდენი გარემოება, მით უმეტეს, როდესაც საქმე გვაქვს არასრულწლოვანთან, რომლისთვისაც სპეციალურად დანერგილი იქნა ლიბერარული მიდგომები და განცალკვებული ნორმები.

ამკ-ის 73-ე მუხლი ადგენს სპეციალურ წესებს არასრულწლოვნების შემთხვევაში, რა არის მაქსიმალური ვადა და რამდენად უნდა შემცირდეს დანიშნული სასჯელი. იმისდა გათვალისწინებით, რომ ქართული კანონმდებლობა ეყრდნობა ევროპულს, უმჯობესი იქნებოდა გადმოგვეტანა გერმანიის ამკ-დან დათქმა სასჯელის მაქსიმალურ ზომასთან დაკავშირებით, რომელიც მინიმუმ 6 თვე, მაქსიმუმ კი 5 წელია. ამასთანავე, შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევაში მაქსიმალური ვადა 10 წელი იყოს. [43] ამასთანავე, როგოც ზემოთ აღვნიშნე, გერმანიაში ამკ მოქმედებს მოზარდებზეც. მათთვის სპეციალური შემთხვევებში, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება 15 წლითაც დაინიშნოს. [44] შესაბამისად, ამკ-ით გათვალისწინებული სასჯელის სახის მაქსიმალური ზღვარი - 12 წელი, საკმაოდ მკაცრია და საეჭვოა, რომ ესადაგებოდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს.

---

[41] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლი

[42] არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა/სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, თ. მახარობლიძე, გვ. 78. თბილისი, 2017

[43] JGG § 18

[44] ამავე კოდექსის § 105

3. არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები და მიმართება თავისუფლების აღკვეთასთან

სანამ ამკ ძალაში შევიდოდა, როგორც მანამდე აღვნიშნე, არასრულწლოვნებისთვის მოქმედებდა სისხლის სამართლის კოდექსი. სასჯელის დანიშვნისას, მოსამართლე ხელმძღვანელობდა სრულწლოვნებისთვის განსაზღვრული ზოგადი საწყისებით, რაც იყო : მოტივი, მიზანი, მართლსაწინააღმდეგო ნება, ქმედების სახე, ხერხი, წარსული ცხოვრება და ა.შ.[45]

2016 წელს ამკ-ის შემოღებასთან ერთად დამკვიდრდა არასრულწლოვნებისთვის სასჯელის დანიშვნის განსაკუთრებული, ზოგადი საწყისები. მოსამართლემ ყოველ ჯერზე უნდა გაითვალისწინოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში[46]. ყოველი ბავშვი განსხვავდება იმისდა მიხედვით, რა გარემოში იზრდება, რისკენ აქვს მიდრეკილება, რა აინტერესებს და ა.შ. გარდატეხის ასაკი განსაკუთრებით სენსიტიური პერიოდია, როდესაც მოზარდი შეიცნობს სამყაროს, თუნდაც საკუთარი შეცდომების „ხარჯზე“.

მოკლედ რომ ვთქვა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი განისაზღვრება მისი უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე. რაც შეეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, ეს არის ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლები : ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობა და ა.შ. [47] ამ საკითხზე მოგვიანებით უფრო ფართოდ ვისაუბრებ.

მოცემული ორი პირობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. სკრუპულოზურად უნდა იქნეს შესწავლილი თითოეული გარემოება, რომელმაც შესაძლოა მთავარი ზეგავლენა მოახდინა იმაზე, რომ არასრულწლოვანმა დანაშაული ჩაიდინა. ამასთანავე, არგუმენტაცია უნდა იყოს მყარი და არ უნდა იქნებს მითითებული მხოლოდ „ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე დაყრდნობით/არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით“.

---

[45] სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი

[46] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლი

[47] ჟურნალი სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები/ სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, მ. ივანიძე, გვ. 11, თბილისი, 2017

კონკრეტული პირობები ფართოდ უნდა იქნეს გაშლილი და იმისდა მიხედვით შერჩეული შესაბამისი ზომა. ამასთანავე, აუცილებელია არგუმენტაციის სასჯელის მიზნებთან დაკავშირება და მათზე დაყრდნობა. სასჯელის კონკრეტული სახე უნდა იყოს მისადაგებული არასრულწლოვნის შესაბამის მახასიათებლებთან და არ იყოს მისი ღირსების, პირადი ცხოვრების უფლების შემლახავი ან თუნდაც ისეთი, რომლის შესრულება ფიზიკურად შეუძლებელი იქნება. იგივე ეხება არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებასთან ერთად რაიმე მოვალეობის დაკისრებას.[48]

აღსანიშნავია სისხლის სამართლის საქმე #1/5573-15, სანამ არ არის სასჯელთან მიმართებით გამყარებული მსჯელობა და ზერელედაა მითითებული სასჯელის დანიშვნის წინაპირობები. აგრეთვე უსაფუძვლოდ დანიშნულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლის აკრძალვა და სახლიდან გაუსვლელობა. მიუხედავად იმისა, რომ მითითებულია სასჯელის მიზნებზე, კავშირი არ ჩანს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ლოგიკურ და მჭიდრო კავშირშია აგრეთვე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობა. [49] თუკი სპეციალური სოციალური მუშაკების მიერ სწორადაა გამოკვლეული არასრულწლოვნის მდგომარეობა, ფაქტები ნათლადაა წარმოდგენილი, მოსამართლეს საშუალებას აძლევს გამოიტანოს დასკვნები და შესაბამისი წინაპირობებიც დაცულია, შესაძლებელია და მოსალოდნელიცაა კი, რომ არასრულწლოვანს დაენიშნოს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი ან სხვა სასჯელიც კი. ეს თავისთავში გულისხმობს, რომ, პირობითად, კონკრეტული სახის დანაშაულისთვის კანონი აწესებს სასჯელს ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით. მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს 5 ან 6 თვეც კი. სხვა სასჯელში იგულისხმება კანონით არგათვალისწინებული რაიმე სხვა სასჯელი.[50] მოცემული ნორმა ბუნებრივად ლიბერალურია, მიუხედავად დათქმისა „წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი“, რის მიუღებლობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრე.

საინტერესოა, რომ გერმანიის ამკ-ში არ არის მსგავსი ნორმა. გერმანიაში ზუსტადაა განსაზღვრული საზღვრები. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ რეალურ სასჯელად არის მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა მოიხსეინება, რომელიც

[48] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლი

[49] ამავე კოდექსის 76-ე მუხლი

[50] არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა/ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა, ი. ვარძელაშვილი, გვ. 138, თბილისი, 2017

უიშვიათეს შემთხვევაში გამოიყენება. შესაბამისად, გერმანიაში მეტწილად იყენებენ გამოსასწორებელ და აღმზრდელობით ღონისძიებებს, აგრეთვე მსუბუქი სახით და მოკლე პერიოდით.

აქედან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, მოსამართლე უფრო დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს სასჯელის დანიშვნას არასრულწლოვნებთან მიმართებით. ის არ უნდა წარმოადგენდეს ჯალათს, არამედ აღიჭურვოს აღმზრდელობითი მიზნებით და მიუდგეს თითოეულ საქმეს უდიდესი ყურადღებით.

4. არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სტატისტიკა საქართველოში

საქართველოში არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რაოდენობა დღემდე მაღალი რჩება, თუმცა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობა იყო იმ წლამდე, სანამ შემოიღეს ამკ, რომელმაც, პირდაპირ რომ ვთქვათ, გარდატეხა მოახდინა ბავშვთან მიდგომაში.

ზოგადად, 2016 წლიდან მსჯავრდებულების საერთო რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მიახლოებით 2-3-ჯერ შემცირდა. თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავავლებთ თვალს, 2014 წელს გვყავდა სულ 381 მსჯავრდებული, 2015 წელს - 292, ხოლო 2016 წელს -146 არასრულწლოვანი. დანაშაულის სახის მიხედვით კვლავაც ყველაზე მეტად გავრცელებული რჩება ქურდობა, რომელიც სხვა დანაშაულებთან მიმართებით მთლიანი რაოდენობის 70-75%-ს შეადგენს.

ყველაზე საინტერესო სტატისტიკურ მონაცემს ვაწყდებით იმასთან დაკავშირებით, რამდენ პროცენტს ენიშნება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა. თვალშისაცემია შემდგომი - ამკ-ის შემოღების შემდეგაც კი თავისუფლებაღკვეთილი არასრულწლოვნების პროცენტული წილი არ იცვლება. 2013 წელს 456 მსჯავრდებულიდან დაახლოებით 25%-ს დაენიშნა სასჯელის ეს უმძიმესი სახე, 2014 წელს - 27%-ს. ბოლო წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2016 წელს დაფიქსირდა - მსჯავრდებული არასრულწლოვნების 31%-ს აღეკვეთა თავისუფლება, ეს ნიშნავს, რომ ყოველი მესამე დამნაშავე ბავშვი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აღმოჩნდა. 2017-2018 წლებში პროცენტული წილი 22-23%-ს შეადგენს. უმეტესწილად ქურდობისთვის

არასრულწლოვნებს თავისუფლების აღკვეთა ენიშნებათ, რაც აგრეთვე დაახლოებით 25-დან 30%-მდე მერყეობს.[51]

2019 წლის 4 თვის ანგარიშებით, არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სტატისტიკა კვლავაც უცვლელია და დაახლოებით 20%-ს შეადგენს. ყველაზე დიდი წილი მოდის არასრულწლოვნების მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებაზე, რომელიც შეადგენს დაახლოებით 55%-ს. ამას, რა თქმა უნდა, დადებითად შევაფასებდი. დანარჩენს სასჯელები გამოყენებულია მინიმალური წილით.[52]

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდანაც ჩანს, საქართველოში ძალიან, ზედმეტადაც დიდია არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის მაჩვენებელი. უხეშად რომ ვთქვათ, ყოველ მესამე ან მეოთხე არასრულწლოვანისთვის განისაზღვრება ეს უმძიმესი სასჯელი, რომელიც გადასატანად საკმაოდ რთულია არათუ ბავშვისთვის, არამედ ზრდასრული პიროვნებისთვის. საინტერესოა, თითოეულ შემთხვევაში რამდენად იქნა გამოკვლეული ბავშვის საუკეთესო ინტერესი და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. ისევ თუ 2019 წლის ბოლო 4 თვის ანგარიშებს გადავავლებთ თვალს, მსჯავრდებული არასრულწლოვნებიდან დაახოებით 80-85% არ მუშაობდა და არ სწავლობდა. ყოველი პირობა, რომელმაც მიიყვანა ის დანაშაულამდე, უნდა ყოფილიყო გამოკვლეული და ადეკვატური ზომები მიღებული ბავშვის აღზრდისთვის და არა დასჯისთვის. უფრო მეტ შემთხვევაში უნდა გამოიყენებოდეს იგივე პირობითი მსჯავრი, აღმზრდელობითი და გამოსასწორებელი სახის სასჯელები, ვიდრე ციხეში ჩასმა, რომელიც არ არის რესოციალიზაციის უდაო პირობა, პირიქითაც კი.

[51] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები, supremecourt.ge
[52] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika

5. თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახით დანიშვნა და მისი ზემოქმედება არასრულწლოვნებზე

5.1.რესოციალიზაცია

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, არასრულწლოვნების მიმართ დანიშნულ სასჯელებს ახასიათებთ თავისებური მიზნები. ამკ-ის მიხედვით, ეს მიზნებია რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. [53] განმარტების მიხედვით, ეს წარმოადგენს არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობას და მის მომზადებას საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად. [54] მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებელმა ამოიღო სსკ-ში მითითებული „სამართლიანობის აღდგენა", როგორც სასჯელის მიზანი. არასრულწლოვნების მართლმსაჯულება, განსხვავებით დანაშაულზე ორიენტირებული სრულწლოვნების მართლმსაჯულებისგან, უპირატესობას ანიჭებს თავად დამნაშავესა და მის ინტერესებს.[55] ვეთანხმები გამოთქმულ აზრს, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან მოცემული დათქმა გაიგივებული იყო სამაგიეროს მიზღვასთან, რაც შეუსაბამოა არასრულწლოვნების შემთხვევაში.[56]

დამატებით განმარტებას რესოციალიზაციაზე ვხვდებით „პატიმრობის კოდექსის" 116-ე მუხლში, სადაც იგულისხმება მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.

მოცემული სასჯელის მიზანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მისი აღსრულება უნდა დაიწყოს სასჯელის დანიშვნიდანვე. ხშირ შემთხვევაში, ციხეს არ აქვს გამოსწორების ფუნქცია. ადამიანისთვის თავისუფლების აღკვეთის მთავარ მიზნად მისი იზოლირება ხდება, რადგან შესაძლოა საზოგადოებისთვის სახიფათო იყოს.

---

[53] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლი

[54] ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი

[55] Erziehung krimineller Jugendlicher in kriminalpädagogischen Institutionen\Soziale Integration krimineller Jugendlicher durch Vollzug in freier Formen und offene Unterbringung, K. Dietrich, S. 44. Heidelberg, 2011

[56] სასჯელის მიზნები, ი. ვარძელაშვილი, გვ 191, თბილისი, 2016

მიუხედავად იმისა, რომ მაღლა ვისაუბრე, რა შემთხვევაში ინიშნება თავისუფლების აღკვეთა, მისი დანიშვნის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი რჩება საქართველოში. რადგანაც ყოველი სასჯელი გარკვეული მიზნით ინიშნება, ის უნდა სრულდებოდეს კიდევაც. განსაკუთრებულად მძიმე სასჯელების შემთხვევაში რესოციალიზაცია უნდა იყოს პრიორიტეტული. უფრო სენსიტიურად უნდა იყოს არასრულწლოვნების საქმე აღქმული. გარემოებების სიღრმისეული შესწავლით უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის უფლებები და ინტერესები. შესაბამისად უნდა დაიგეგმოს მისთვის სხვადასხვა აქტივობები.

რესოციალიზაციის აღსასრულებლად აუცილებელია, რომ არასრულწლოვნისთვის უზრუნველყოფილი იყოს მისი სრულფასოვანი განვითარებისთვის პირობები. ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ, რომ მას ჰქონდეს განათლების მიღების, კომუნიკაციის, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის, თუნდაც რელიგიური აღზრდის საშუალება. მოცემული პირობების კუმულაციური შესრულება მისცემს მას საშუალებას, სასჯელის მოხდის შემდგომ საზოგადოებას დაუბრუნდეს როგორც სრულფასოვანი წევრი. მას უნდა მიეცეს საშუალება, გონებრივი, ფიზიკური და სულიერი განვითარებით არ ჩამორჩეს მის თანატოლებს.

წინგადადგმულ ნაბიჯად შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, 2012 წლის ბოლოს დაწყებული ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა. მოცემული პროგრამის მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულიდან გათავისუფლებული მსჯავრდებულებისთვის ხელის შეწყობა, რომ დაუბრუნდნენ ჩვეულებრივ ცხოვრებას. გათავისუფლებამდე 1-3 თვით ადრე დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური სამუშაოს სპეციალისტები/მთავარი სპეციალისტები პენიტენციურ დაწესებულებებში ხვდებიან მსჯავრდებულებს და აწვდიან ინფორმაციას პროგრამის და სერვისების შესახებ. არასრულწლოვნის პროგრამაში ჩართვა ხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. არასრულწლოვანი ყოფილი პატიმრის მომართვის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას არასრულწლოვნის პროგრამაში ჩართვაზე, რაც კანონიერი წარმომადგენლობისა და კანონიერი

წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად უნდა დაერთოს „მომართვის ფორმას“.[57]

პოზიტიურ ნორმად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამკ-ის 84-ე მუხლი, რომელიც ფართოდ განსაზღვრავს, როგორი სარეაბილიტაციო პროგრამები უნდა მოეწყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისთვის. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ კოდექსმა გვერდი არ აუარა არასრულწლოვნის სამუშაოს შესრულებას [58] და ასევე სპორტულ და რეკრეაციულ ღონისძიებების მონაწილეობის შესაძლებლობას[59]. მსგავსი ნორმები წარმოაჩენს კანონმდებლის ზრუნვას არასრულწლოვან ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე.

თუკი სასამართლოს არ დარჩება სხვა გზა და მოუწევს პირისთვის თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა სასჯელის სახედ, ამ შემთხვევაში, რესოციალიზაციის სპეციალური გეგმა უნდა დაისახოს, კონკრეტულად ამ არასრულწლოვნისთვის. ყველა ადამიანი უშვებს შეცდომას და ამის გამო ის არ უნდა გაირიყოს საზოგადოებისგან. მით უმეტეს პირი, რომელიც ჯერ კიდევ ახლა იწყებს ცხოვრებას.

5.2. გარე სამყაროსთან ურთიერთობა

„ყველა საშუალებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ის, რომ არასრულწლოვანი სათანადო კონტაქტში იყოს გარესამყაროსთან, რაც სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის არსებით ნაწილს შეადგენს და მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის საზოგადოებისკენ მოსაბრუნებლად. არასრულწლოვნებს უფლება უნდა ჰქონდეთ, იკონტაქტონ თავიანთ ოჯახთან, მეგობრებთან და სხვა პირებთან თუ რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების წარმომადგენელთან“.[60]

როგორც უკვე აღვნიშვნე, მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებული არასრულწლოვანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მოწყვეტილი საზოგადოების დანარჩენ ნაწილს. ამის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია,

---

[57] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი.
http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/programa.pdf

[58] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებს 85-ე მუხლი

[59] ამავე კოდექსის 86-ე მუხლი

[60] გაეროს წესები თავისუბლეაღკვეთილი არასრულწლოვნის დასაცავად, წესი 59-ე

რომ მას ჰქონდეს გარე სამყაროსთან და ოჯახის წევრებთან კავშირი. მოცემული შემთხვევის დასარგეულირებლად, კანონმდებელმა დაუშვა კონკრეტული შემთხვევები, როცა მსჯავრდებულს შეუძლია ჰქონდეს პაემანი, სატელეფონო საუბარი, მიიღოს წერილები და ამანათები, უყუროს ტელევიზორს.[61] ამასთანავე კანონმდებელი უშვებს ე.წ. წახალისების შემთხვევაში, გარე სამყაროსთან ურთიერთობის რაოდენობისა და ხანგრძლივობის გაზრდას, რაც ერთგვარი სტიმულის მომცემია არასრულწლოვნისთვის. თუმცა, ბუნებრივია, მსგავსი შემთხვევები უნდა შემცირდეს იმ შემთხვევაში, თუ დაკვირვების შედეგად ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებს მოზარდზე.

არასრულწლოვანს ბუნებრივია უნდა ჰქონდეს უფლება, რომ დროებით მაინც გავიდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან. რა თქმა უნდა, ესეც გათვალისწინებულია ჩვენი კანონმდებლობით და მოიცავს გარკვეულ პირობებს.[62] ჩემი აზრით, ამ მუხლის მეორე ნაწილში ჩამოყალიბებული პირობები შესაცვლელია. არასრულწლოვნის დროებით გაშვება უნდა მოხდეს ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივი დაკვირვებისა და შემდგომი გადაწყვეტილების მიღების შედაგად. სავსებით შესაძლებელია, რომ მან გაცილებით ადრე მოახდინოს საკუთარი დანაშაულის გააზრება და გამოსწორებისკენ შესამჩნევი ნაბიჯების გადადგმა. უმჯობესი იქნებოდა, რომ გარეთ გასვლა მომხდარიყო უფრო მეტი სიხშირით, თუ კომპეტენტური დამკვირვებელი შეამჩნევდა, რომ ეს ღონისძიება დადებითად მოქმედებს არასრულწლოვანზე.

დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ ისიც, რომ პატიმრობის კოდექსში ჩამოთვლილი საკმაოდ გრძელი სიის წევრების გარდა, არასრულწლოვანს აქვს უფლება კანონიერი წარმომადგენლის და პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანხმობით, შეხვდეს სხვა პირსაც[63]. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ეს იყოს მეგობარი, მასწავლებელი, მეზობელი და ა.შ., რომლებმაც შესაძლოა მასზე უფრო დიდი დადებითი ზეგავლენა მოახდინონ. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს გარემოება შესწავლილი უნდა იყოს აგრეთვე ფსიქოლოგის მიერ.

---

[61] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 87-ე მუხლი

[62] ამავე კოდექსის 88-ე მუხლი

[63] ამავე კოდექსის 87-ე მუხლის მე-3 ნაწილი

სასჯელის მიზნიდან გამომდინარე გარე სამყაროსთან ურთიერთობა ერთ-ერთი პრიორიტეტული გარემოებაა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული, რათა პირის რესოციალიზაცია ნაკლებად „მტკივნეული“ იყოს.

საინტერესოა ამასთან დაკავშირებით გერმანული მიდგომა. სოციალური სამართლის კოდექსის მიხედვით, ყველა ახალგაზრდას აქვს უფლება მოითხოვოს მისი განვითარებისთვის ხელშეწყობა, რათა გახდეს დამოუკიდებელი და კომუნიკაბელური ადამიანი. ამის უზრუნველსაყოფად მოზარდების დახმარება გულისხმობს : ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობას, მშობლების მხარდაჭერას, ბავშვების დაცვას ხიფათისგან და ა.შ.[64] მოცემული მიზნისთვის არსებობს სპეციალური დაწესელებულა - Jugendamt. ისინი ზედამხედველობას უწევენ, რამდენად რეალიზებულია ბავშვის უფლებები, განსაკუთრებით კი, თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების.

5.3. ფსიქოლოგიური ზეგავლენა

ბევრი ადამიანისთვის თავისუფლების აღკვეთა შესაძლოა სამომავლო იდეების დასასრულს, ინტეგრაციის შესაძლებლობის მოსპობას ნიშნავდეს. ხშირია, რომ სრულწლოვანი დამნაშავეებიც ვერ უძლებენ, ვერ ეგუებიან ციხის კედლებს და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებენ. განსაკუთრებით მძიმე გადასატანია არასრულწლოვნებისთვის თავისუფლების აღკვეთის გააზრება და მასთან შეგუება. გასაკვირი არაა, რომ მათი ნაწილი დეპრესიით იტანჯება და სუიციდის აზრები უჩნდება, რომელიც, ხანდახან, მცდელობაშიც ან ფატალურ შედეგში გადაიზრდება. მეორე მხრივ, ჩვეულებრივი ცხოვრებისგან მოწყვეტამ შესაძლოა არასრულწლოვანს დააკარგვინოს სურვილი გამოსწორების და რეალიზაციის გზას დაადგეს. შედარების სახით, გერმანიაში 2000 წლიდან 2008 წლამდე 784-მა ადამიანმა მოიკლა ციხეში თავი, მათ შორის არასრულწლოვნებმაც.[65] სავსებით შესაძლებელია, რომ ჯერ კიდევ თავისუფლების აღკვეთამდე იყოს ახალგაზრდა სუიციდისკენ მიდრეკილი, ხოლო მოცემულმა გარემოებამ მისი სურვილი კიდევ უფრო განამტკიცოს და სისრულეშიც მოიყვანოს. ხშირია, რომ არასრულწლოვნებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში „მოჰყვებათ“ რაიმეზე დამოკიდებულება და ფსიქიკური აშლილობებიც, აგრეთვე

[64] Sozialgesetzbuch (SGB VIII)

[65] Gewalt und Suizid im Strafvollzug – Ein längsschnittliches DFG-Projekt im thüringischen und nordrhein-westfälischen Jugendstrafvollzug, F. Neubacher, J. Oelsner, V. Boxberg, H. Schmidt. S.136. 2011

განსაკუთრებული წარმოდგენები. [66] განსხვავებულმა, ჩაკეტილმა გარემომ, უსამართლობის შეგრძნებამ შესაძლოა მოცემული შინაგანი პროცესები გაამძაფროს და როგორც არასრულწლოვანი, აგრეთვე გარშემომყოფები დააყენოს საფრთხის ქვეშ. უკვე ვთქვი, რომ ახალგაზრდის ფსიქიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ სასჯელის დანიშვნამდე უნდა იქნეს გამოკვლეული, თუმცა, ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე (არაპროფესიონალიზმი, გულგრილი დამოკიდებულება) შესაბამისს ორგანოებს შესაძლოა გამოეპაროთ.

ამასთანავე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრა სვამს არასრულწლოვანს იმ ადამიანებთან, რომლებმაც შესაძლოა მასზე მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. იმის გათვალისწინებით, რომ მას ჯერ კიდევ არ გაუვლია სრულფასოვანი განვითარების პერიოდი, ადვილად მართვადია და მასზე ზეგავლენის მოხდენა, წაქეზება არ წარმოადგენს დიდ სირთულეს.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვანი იმყოფებოდეს ფსიქოლოგის მუდმივი დაკვირვების ქვეშ. ამასთანავე, სავალდებულო უნდა იყოს პერმანენტული ვიზიტები, რათა მოხდეს ზოგადი სურათის შექმნა და ცვლილებების ადრეულ ეტაპზე შემჩნევა. არასრულწლოვანთან მუშაობამ უნდა დაუსახოს მას სწორი სამომავლო მიზნები. მან უნდა დააწყოს გეგმები და ამ გეგმის შესრულების გზები. ბუნებრივია, უნდა მოხდეს არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური შემზადება სასჯელის მოხდისშემდგომი პერიოდისთვისაც. ყოველ დანაშაულს მოსდევს სასჯელი, თუმცა, ამან არ უნდა დააკარგვინოს ადამიანს უკეთესი მომავლის იმედი.

5.4. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება

ამკ-ში, მსგავსად სსკ-ისა სასჯელის ერთ-ერთ უმთავრესად მიზნად რჩება ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი ფიქრობს, რომ სასჯელი იმგვარი სახით უნდა იყოს დანიშნული, რომ არასრულწლოვანმა მისი მოხდის შემდგომ აღარ ჩაიდინოს ახალი, მით უმეტეს, უფრო მძიმე დანაშაული.

[66] იქვე, S. 137.

მკვლევარების უმეტესობა განასხვავებს ზოგად და სპეციალურ პრევენციას. პირველი სახე გულისხმობს, დამნაშავისთვის სასჯელის შეფარდებით საზოგადოების მერყევ ელემენტებზე დანაშაულის ჩადენისგან თავის არიდების ასპექტში დადებითი ზეგავლენის მოხდენას. მეორე სახე ეხება იმ პირებს, რომლებმაც წარსულში უკვე ჩაიდინეს დანაშაული და უნდა აიცილონ ახალი.[67] არსებობს მოსაზრებები, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, რომელიც პიროვნებაზე და არა დანაშაულზე აკეთებს ორიენტირებას, უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ სპეციალური პრევენცია. თუმცა, ვეთანხმები იმ პოზიციას, რომ ზოგადი პრევენცია მნიშვნელოვანია, რადგან სხვა არასრულწლოვნებისთვის, რომლებიც მიდრეკილები არიან დანაშაულისკენ, გახდეს სამაგალითო.[68] სასჯელი არის სახელმწიფოს რეაქცია დანაშაულზე. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს შერჩეული არასრულწლოვნების მიმართ. ის არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი, რაც ფსიქოლოგიურად ზიანს მიაყენებს ახალგაზრდას, აგრეთვე ზედმეტად მსუბუქი, რათა არ განახორციელოს უკუეფექტი მერყევ ჯგუფებზე. არასრულწლოვანს არ უნდა გაუჩნდეს დაუსჯელობის განცდა. შესაბამისად, სასჯელს გააჩნია როგორც ზოგადპრევენციული, აგრეთვე სპეციალურპრევენციული ხასიათი.

გერმანიის ამკ აგრეთვე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანს, თუმცა ამის უზრუნველყოფის პრიორიტეტულ საშუალებად მიიჩნევს აღზრდას.[69] ზუსტად აღმზრდელობითი ღონისძიებები არის ის, რაზეც დაფუძნებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ამ ქვეყანაში. სამეცნიერო ლიტერატურაში ამას მოიხსენიებენ როგორც რეციდივის პროფილაქტიკას(Rückfallverhütung). გერმანიის ამკ მეტად ახალისებს დამნაშავე არასრულწლოვნებს, რომ იცხოვრონ მართლწესრიგის მიხედვით და ლმობიერი ნორმებით აძლევს საშუალებას ამის განსახორციელებლად.[70]

გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და კრიმინოლოგიის პროფესორი და მკვლევარი, ვოლფგანგ ჰაინცი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს: „ მძიმე სასჯელები არ აგვარებენ პრობლემას. მათ უფრო მეტი ცუდი მოაქვთ, ვიდრე კარგი. კვლევების თანახმად, მსგავსი სასჯელები უფრო მეტად იწვევენ

[67] სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მ. ლეკვეიშვილი, გვ 481, თბილისი
[68] სასჯელის მიზნები, ი. ვარძელაშვილი, გვ 198, თბილისი, 2016
[69] JGG § 2
[70] Das deutsche Jugendstrafrecht Ziel, Handhabung, Wirkungen, W. Heinz. S. 3. Sapporo, 2008

რეციდივს“.[71] აქედან გამომდინარე, არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად მკაცრია სასჯელი, მთავარია ის პროპორციული და მისაღები იყოს.

ახალი ან, თუნდაც, პირველი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად დიდი როლი აკისრია სახელმწიფოს. ძირითადად, არასრულწლოვანი დამნაშავეები იზრდებიან არასრულ, არაუზრუნველყოფილ ოჯახებში. ხშირად აწყდებიან სოციალურ, ეკონომიკურ სიძნელეებს. ხდებიან ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის მსხვერპლი. არ არის გამორიცხული, რომ მუდმივად სტრესსა და განსაცდელში მყოფი ბავშვი თავადაც გადაწყვეტს არაკანონიერი საქციელის ჩადენას, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იკისროს მოძალადის როლი. არასრულწლოვანს, რომელიც ჯერ კიდევ შეიცნობს სამყაროს უნდა ვასწავლოთ, რა არის კარგი და რა არის ცუდი. უნდა გავაცნოთ საზოგადოებრივი ღირებულებები. აუცილებელია, რომ არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ გარშემომყოფები იყვნენ მეტად ყურადღებიანი და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონენი.

6. პირობითი მსჯავრი; პირობით ვადამდე გათავისუფლება, როგორ საპატიმრო ღონისძიების აცილების საშუალება

ამკ-ის 74-ე მუხლი აწესებს, რა შემთხვევაში შეიძლება პირობითი მსჯავრის გამოყენება. კონკრეტულად, ეს წარმოადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც: 1. არასრულწლოვანი მსჯავრდებული არ ყოფილა განზრახი დანაშაულისთვის დასჯილი; 2. არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული. ამ დროს მოსამართლეს აქვს დისკრეცია, დანიშნული სასჯელი შეცვალოს პირობითად. ისევ ვაწყდებით ამკ-ის ხარვეზს წარსულში მსჯავრდებასთან დაკავშირებით. აქ, სავარაუდოდ, კანონმდებელმა იგულისხმა ნასამართლობა. მოცემული დათქმა უფრო მეტ და მძიმე წინაპირობად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რადგან თუ სრულწლოვანმა წარსულში მსჯავრდებული იყო ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის და ამჯერადაც ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მას შეიძლება დაენიშნოს პირობითი მსჯავრი [72] , რაც ვერ მოხერხდება არასრულწლოვნის შემთხვევაში. რა თქმა უნდა, მოცემული პირობა უნდა იყოს

[71] https://www.welt.de/welt_print/article1561528/Harte-Strafen-erhoehen-die-Rueckfallquote.html
[72] სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი

ამოღებული ამკ-დან [73] , რადგან ის პირდაპირ არღვევს მისი საუკეთესო ინტერესების დავცის პრინციპს.

გერმანიის ამკ-ს მიხედვით, თუ არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე, მოსამართლე უფლებამოსილია სასჯელი შეცვალოს პირობითი მსჯავრით, თუ თავად სასჯელის დანიშვნამ იმოქმედა მასზე, როგორც საჩვენებელმა მაგალითმა და სამომავლოდ, სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ ყოფნის პერიოდში შეუდგება სამართლიან ცხოვრებას. [74] ამასთანავე, თუ თავისუფლების აღკვეთა მოიცავს პერიოდს 2 წლამდე, მოსამართლეს აგრეთვე შეუძლია ის შეცვალოს პირობით მსჯავრად და დააკისროს მსჯავრდებულს სხვადასხვა მოქმედებების შესრულება. სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას ყურადღება ექცევა ახალგაზრდის დანაპირებს. პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში, არასრულწლოვანი სპეციალურად დანიშნული პირის დაკვირვების ქვეშ იმყოფება, რომელიც უწევს მას დახმარებას. [75] თუ პირობითი მსჯავრის პერიოდში არასრულწლოვანი კეთილსინდისიერად ასრულებს დავალებებს, მისი გასვლის შემდეგ, ის თავისუფლდება სასჯელისგან.

გერმანიაში პირობით მსჯავრს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. არასრულწლოვნების მიმართ 9 თვით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა 80%-ში პირობითი მსჯავრით იცვლება, 9 თვიდან 12 თვემდე - 70%-ში, ხოლო 1 წლიდან 2 წლამდე - 50%-ში. აგრეთვე, რამდენად უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, პირობითი მსჯავრი გამოიყენება არა მხოლოდ მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, არამედ თუ არსებობს ე.წ. საზიანო ტენდენცია. ამასთან დაკავშირებით გერმანიაში წარმოიქმნა წინააღმდეგობა. აქედან გამომდინარე : მხოლოდ როდესაც საზიანო ტენდენცია გამოწვეულია გარემოს ზემოქმედებით და არა კანონის მიმართ ცუდი განწყობით, გამოიყენება სასჯელის შეცვლა პირობით მსჯავრად.[76]

ამკ აგრეთვე იცნობს პირობით ვამადე გათავისუფლების შესაძლებლობას გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში. [77] მოცემული მექანიზმი

---

[73] არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა/ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა, ი. ვარძელაშვილი, გვ. 160, თბილისი, 2017

[74] JGG § 21

[75] JGG § 24

[76] Jugendstrafrecht 3. Auflage, K.Laubenthal, H.Baier,N.Nestler, S. 354-355, Berlin Heidelberg, 2015

[77] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 95-ე მუხლი

მიმართულია იმაზე, რომ თითოეულ პატიმარს მიეცეს საშუალება და იმედი, რომ დროზე ადრე გავიდეს თავისუფლებაზე. ამ შემთხვევაში, ერთობლივად მოქმედებს პენიტენციური დაწესებულება და პრობაციის ეროვნული სააგენტო, რომლებიც შეისწავლიან საქმეს, კერძოდ, ოჯახურ გარემოებასა და საცხოვრებელ პირობებს. აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს, თუ როგორ იქცეოდა არასრულწლოვანი, რამდენად გამოსასწორებელი აღმოჩნდა მისთვის სასჯელი ანუ მოქმედებდა თუ არა სპეციალური პრევენცია. საგულდაგულოდ უნდა იქნეს შედგენილი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, გათვალისწინებული პენიტენციური დაწესებულების მუშაკების შეხედულებები. უმჯობესია, პროცესში ჩაერთონ აგრეთვე სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. თუ არსებობს პატარა შანსიც კი, რომ მოხდილმა სასჯელმა არასრულწლოვანს გააცნობიერებინა მისი ჩადენილი დანაშაული და მოწადინებულია შეცვალოს ცხოვრება უკეთესობისკენ, ის პირობით ვადამდე უნდა იქნეს გათავისუფლებული.

მოცემულ პრაქტიკას იცნობს გერმანიის ამკ-იც, რომელიც აწესებს, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლება გამოიყენება მაშინ, თუ პირმა მოიხადა სასჯელის ნაწილი, კერძოდ არანაკლებ 6 თვე, მისი გაშვება კი გამართლებულია მოზარდის განვითარებისთვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით. 6 თვემდე პირობით ვადამდე გათავისუფლების გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია გამართლებული, ხოლო თუ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულია 12 თვეზე მეტი, მაშინ მოხდილი უნდა იყოს არანაკლებ 1/3. [78] მოცემულ გადაწყვეტილებას იღებს სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსი.

შედარებისთვის, ქართული კანონმდებლობა უფრო ლმობიერადაა განწყობილი და შემთხვევები დეტალურადაა ჩამოწერილი. თავისუფლების აღკვეთის სახით მოხდილი დრო, ამკ-ის მიხედვით უნდ იყოს არანაკლებ 3 თვისა. ამასთანავე, გაწერილია დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, რამდენია ფაქტობრივად მოხდილი დრო, რის შემდეგადაც შესაძლებელია არასრულწლოვანი პირობით ვადამდე გათავისუფლდეს.

როგორც პირობითი მსჯავრი, აგრეთვე პირობით ვადამდე გათავისუფლება მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარებისთვის.

[78] JGG § 88

აუცილებელია, რომ ამ საკითხთან მიდგომა იყოს სერიოზული. როგორც ზემოთ ვისაუბრე, თავისუფლების აღკვეთა არის მძიმე სასჯელის სახე და ყველანაირი შესაძლებლობით უნდა იქნეს არიდებული, განსაკუთრებით არასრულწლოვნების შემთხვევაში.

7. თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სტატისტიკა და თავისებურებები გერმანიაში

არასრულწლოვანთა სამართალი გერმანიაში თავის პირველ მოხსენიებას ჰპოვებს ჯერ კიდევ 1532 წელს, ე.წ. Constituio Criminalis Carolina-ში, რომელიც იწოდება როგორც გერმანიის პირველი სისხლის სამართლის კოდექსი. აღნიშნული იყო 164-ე მუხლში ახალგაზრდა ქურდბაცაცები, 14 წლამდე პირები, რომლებთაც დანაშაულისთვის განსაზღვრული ჰქონდათ ფიზიკური სასჯელი. განსაკუთრებული რეგულირება არ ხდებოდა. აღნიშნული კოდექსი მოქმედებდა მე-18 საუკუნემდე. ამ პერიოდში მოხდა არასრულწლოვნების ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფა. სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებლებად ითვლებოდნენ პირები 14-დან 25 წლამდე. მოგვიანებით, 1871 წელს რაიხის სისხლის სამართლის კოდექსი იქნა შემოღებული, რომელიც განსაზღვრავდა არასრულწლოვნების სრულწლოვნების მსგავსად მოპყრობის ნორმებს. საინტერესოა, რომ 12-17 წლამდე ასაკის პირი იკითხებოდა სასამართლოს წინაშე და თუ დადგინდება, რომ არ იყო სრულფასოვნად ჩამოყალიბებული, მას უშვებდნენ. საწინააღმდეგო შემთხვევაში ასამართლებდნენ როგორც სრულწლოვანს.

გადამწყვეტი პერიოდი იწყება 1923 წლიდან, როდესაც გერმანიაში შეიქმნა ამკ. როგორც გუსტავ რადბრუხი აღნიშნავდა, ეს იყო წინგადადმული ნაბიჯი. კოდექსმა ის მოიტანა, რაც უკვე დიდი ხნის წინ იყო საჭირო და სხვა ქვეყნებში განუყოფელ რეალობას წარმოადგენდა. მოცემულმა კოდექსმა აღმზრდელობითი ღონისძიებები წამოწია წინ და აგრეთვე სპეციალურ პრევენციას გაუსვა ხაზი. პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლიდან დაწესდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შეიქმნა რაიხის ამკ, კერძოდ 1943 წელს. ნაციონალისტური იდეებით განმსჭვალული კოდექსი უგულებელყოფდა აღზრდის და უპირატესობას ანიჭებდა დასჯას. ასაკმა კვლავ 12 წლამდე დაიწია. ამასთანავე, ზოგიერთი 16 წლის არასრულწლოვანი ისჯებოდა როგორც სრულწლოვანი, სრული სიმკაცრით.

ამოღებული იქნა პირობითი მსჯავრი და უპირატესობა მიენიჭა სასჯელაღსრულების დაწესებულებებს. მძიმე პერიოდის შემდეგ მეტნაკლებად დასრულებული სახე კოდექსმა 1953 წელს მიიღო. ფსიქოლოგების, კრიმინოლოგების, იურისტების ერთობლივი ყრილობიდან შეიქმნა ამკ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი კვლავ 14 წლიდან განისაზღვრა, შემოღებული იქნა მოზარდის ცნება, თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადა 6 თვე გახდა. ამასთანავე დაწესდა, რომ სასჯელის დანიშვნა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ აღმზრდელობითი ღონისძიებები ვერ განახორციელებდა მთავარ მიზანს. ამ წლიდან მოყოლებული გერმანიის ამკ-ში სხვადასხვა ცვლილებები შევიდა, თუმცა ფუძემდებლური ნორმები კვლავაც უცვლელია. [79]

ისევე, როგორც ყველა ქვეყანაში, გერმანიაშიც ჩადენილი დანაშაულისა და გამოძიების შემდეგ, პროკურორი წარადგენს ბრალს. მოცემული განიხილება სპეციალურ არასრულწლოვნების სასამართლოში (ერპიროვნულად ან არასრულწლოვნების საქმეებზე სპეციალიზირებული ნაფიცი მსაჯულების მიერ), რა დროსაც ხდება სასჯელის დანიშვნა, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის. ის ითვლება ყველაზე მძიმედ და მოხსენიებულია როგორც ერთადერთი სასჯელი გერმანიის ამკ-ში. ის რეგულირებია მე-17 მუხლით. აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენს საზიანო ტენდენცია და დანაშაულის სიმძიმე. ხშირია გერმანულ რეალობაში დავა, თუ კონკრეტულად რას გულისხმობს პირველი წინაპირობა. როგორც უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ თუ მოცემული სიტუაცია და აღზრდის ნაკლებობა ქმნიან საფრთხეს, რომ დიდხნიანი კომპლექსური აღზრდის გარეშე დარღვეული იქნება საზოგადოებრივი წესრიგი ახლადჩადენილი დანაშაულებით. რაც შეეხება დანაშაულის სიმძიმეს, ნაკლებად ხდება პერსონაზე ყურადღების გამახვილება, არამედ თავად ქმედებაზე, რომელიც ხშირად განსაკუთრებული სისასტიკითაა ჩადენილი.[80]

გერმანიის კანონმდებელმა აგრეთვე დაადგინა, რომ მოცემული სასჯელის გამოყენება მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როდესაც აღმზრდელობითი და გამოსასწორებელი ღონისძიებები არაა საკმარისი. რაც მიუთითებს იმაზე, რომ

[79] Arbeitsanweisungen und Arbeitsauflagen im Jugendstrafrecht, H. Kremerskothen, S. 3-13. Konstanz, 2001

[80] Lebenswelt Gefängnis Einblick in den Jugendstrafvollzug mit Berichten junger Gefangener, T. Weipert. S. 19, Herbolzheim, 2003

გამყარებულია Ultima Ratio-ს პრინციპი და თავისუფლების აღკვეთა ინიშნება უკიდურეს შემთხვევაში.

გერმანიის ამკ-ის მე-18 მუხლი ზუსტად განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთის პერიოდს. მინიმალური სასჯელი არის 6 თვე, მაქსიმალური - 5 წელი. თუ ჩადენილია დანაშაული, რომელიც გერმანიის სსკ-ის მიხედვით უმაღლეს სასჯელად 10 წელზე მეტს ითვალისწინებს, მაშინ არასრულწლოვნებისთვისაც ვადა 10 წლამდე იზრდება. ეს ძირითადად არის ძარცვა, გაუპატიურება, მკვლელობა და ა.შ. რაც შეეხება მოზარდებს, ამ შემთხვევაში მაქსიმალური ვადა 10 წელს წარმოადგენს, მაგრამ თუ საქმე ეხება მკვლელობას, რომელიც მძიმე დანაშაულია, მაშინ შესაძლებელია 15 წელიც დაინიშნოს. გერმანელი კანონმდებელი აზუსტებს, რომ თავისუფლების აღკვეთა იმ პერიოდით უნდა დაინიშნოს, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღმზრდელობითი ეფექტის მოსახდენად. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს დამნაშავის კომპლექსური შეფასება და იმისდა მიხედვით ზუსტი სასჯელის დანიშვნა. როგორც ვხედავთ, გერმანიის ამკ თავს იკავებს მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთისგან (3,4 თვე) და უპირატესობას სხვა ღონისძიებებს ანიჭებს.

სტატისტიკურ მონაცემებს რომ გადავავლოთ თვალი, პირობითად, 2012 წელს გერმანიაში არასრულწლოვნებს, რომლებთაც სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, დაახლოებით 37%-ს დაუდგინდა 6-დან 12 თვემდე, 1 წლიდან 2 წლამდე კი - 36%-ს. 2 წლიდან 10 წლამდე კი საერთო მაჩვენებელი არის დაახლოებით 14%, აქედან 5-დან 10-მდე მხოლოდ 0,6%-ს.[81] ამასთანავე, როგორც უკვე ზემოთ ვისაუბრე, გერმანელი მოსამართლე მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასჯელს პირობითად 80%-ში ცვლის.

საინტერესო მონაცემია აგრეთვე, მთლიანად, რა წილით იყენებენ გერმანელი მოსამართლეები ზუსტად თავისუფლების აღკვეთას. სხვადასხვა სასჯელებიდან და აღმზრდელობითი თუ გამოსასწორებელი ღონისძიებებიდან მხოლოდ მიახლოებით 16%-ში ხდება თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა. აქედან 10% ეკუთვნის პირობითი მსჯავრით შეცვლას და 6% თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გაგზავნას. დანარჩენი დათმობილია როგორც

[81] Jugendstrafrecht 3. Auflage, K.Laubenthal, H.Baier,N.Nestler, S. 324 , Berlin Heidelberg, 2015

გამოსასწორებელ , აგრეთვე აღმზრდელობით ღონისძიებებს. [82] მსგავსი სიტუაციაა აგრეთვე უახლოეს წარსულში, კერძოდ 2013 წლის მონაცემებით, თავისუფლების აღკვეთა დაახლოებით 6%-ს შეეფარდა, უდიდესი ნაწილისთვის კი გამოყენებულია სხვა სანქციები. [83] თუ დავაკვირდებით განვლილ წლებს, შეგვიძლია შევამჩნიოთ, რომ არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის პროცენტულობა 5%-დან 7%-მდე მერყეობს და კანონმდებლის მიერ ამკ-ში მკაფიოდ დაწესებულიდან გამომდინარე მოსამართლეები უმეტესწილად იყენებენ სხვა სანქციებს.[84]

გერმანელი კანონმდებელი ფართოდ ჩამოთვლის აღმზღდელობით და გამოსასწორებელ ღონისძიებებს, რომელშიც შედის რაიმე სამუშაოს შესრულება, კონკრეტული ტიპის განათლების მიღება ან სამსახურის პოვნა, რომელიმე შერჩეული ადამიანის დაკვირვების ქვეშ ყოფნა, სოციალური ტრენინგის გავლა, დაზარალებულთან შერიგება, კონკრეტულ პირებთან ხშირი შეხვედრა. აგრეთვე დაწესებულია რაიმე ვალდებულების დაკისრების საშუალება, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის შედეგად დაზიანებულის შეკეთება ან თუნდაც საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის ფულის შეწირვა, ბოდიშის მოხდა, გაფრთხილება/საყვედური, დაპატიმრება(აღმზრდელობითი და არა სისხლისსამართლებრივი სახით). ეს უკანასკნელი რამდენიმე სახისაა და 2 დღიდან მაქსიმუმ 4 კვირამდე შეიძლება გაგრძელდეს. [85] არასრულწლოვნის დაპატიმრება გაკრიტიკებულია სხვადასხვა ავტორების მიერ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოკლევადიანი თავისუფლების შეზღუდვა იწვევს სხვადასხვა ნეგატიურ ეფექტს(სოციალური კონტქატების გაწყვეტა, განათლებისა და სამუშაოში ხელის შეშლა), არამედ ეჭვქვეშ აყენებს იმას, რამდენად ლეგიტიმურია ე.წ. შოკის ფუნქცია.[86]

---

[82] Sanktionen im Jugendstrafrecht – Ziel Handhabung, Wirkungen, W.Heinz, S.23. Konstanz, 2006

[83] Kriminalität und Kriminalitätskontrolle, W.Heinz, S 233, Konstanz, 2016

[84] იქვე, S. 236

[85] JGG § 9, 10, 13, 15, 16

[86] Jugendstrafrecht 3. Auflage, K.Laubenthal, H.Baier,N.Nestler, S.312, Berlin Heidelberg, 2015

როგორ სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, გერმანელი მოსამართლეები უფრო მეტად, განსაკუთრებულად ბოლო წლებში, იყენებენ რაიმე დავალების დაკისრებას, კერძოდ, სამუშაოს შესრულებას. [87]

ზემოთ მოტანილი სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანიის ამკ-ის პირობა, რომ თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იყოს დანიშნული, შესრულებულია. აგრეთვე, უპირატესობა ენიჭება გამოსასწორებელ და აღმზრდელობით ღონისძიებებს, რომელთა საერთო პროცენტულობა დაახლოებით 85-ს აღწევს. გერმანული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მეტად ლმობიერად ექცევა არასრულწლოვანს და განსაკუთრებულად ორიენტირებულია მის საუკეთესო ინტერესზე და სამომავლო განვითარებაზე.

III. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი

1. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, როგორც უმნიშვნელოვანესი პრინციპი, მიზანი, გარემოება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა შემოიტანა ისეთი ცნება, რომელიც მანამდე არ არსებობდა და მკაფიოდ განსაზღვრა მისი მნიშვნელობა. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი გულისხმობს არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესებს, რობლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.[88]

ამასთან დაკავშირებით ამკ-ის პირველივე მუხლშიც ვაწყდებით, სადაც ჩამოთვლილია კოდექსის მიზანი და პირველივე ადგილზე მითითებულია მართლმსაჯულების პროცესში საუკეთესო ინტერესის დაცვის ვალდებულება. [89] იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლობა რელევანტურობიდან გამომდინარე

[87] Kriminalität und Kriminalitätskontrolle, W.Heinz, S 237-238, Konstanz, 2016

[88] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი

[89] იქვე, 1-ლი მუხლი, მე-2 ნაწილი

აწესებს ნორმას, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ზუსტად საუკეთესო ინტერესია უმთავრესი მიზანი და მას უპირატესობა ენიჭება.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი არის აგრეთვე კოდექსის უმთავრესი პრინციპი, რადგან აქაც, კანონმდებლის მიერ ის პირველჯერვე არის ნახსენები.[90]

ბუნებრივია, სასჯელის დანიშვნის დროსაც მოსამართლე გვერდს ვერ აუვლის კოდექსის უმნიშვნელოვანეს დათქმას, რომ გაითვალისწინოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. [91] ყოველი სასჯელის ზომა უნდა იყოს დასაბუთებული. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები „აკოპირებენ“ სამართლის ნორმას და არ მსჯელობენ, თუ რატომ მოხდა მისი გამოყენება. ზოგადად და, მით უმეტეს, არასრულწლოვნის შემთხვევაში, აუცილებელია, რომ მოხდეს თითოეული ნაბიჯის ახსნა და არ ჰქონდეს ადგილი გულგრილობას, განსაკუთრებით კი ისეთი მძიმე სასჯელის დანიშვნისას, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა.

გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კომიტეტის მოქმედი ხელმძღვანელი, რენატე ვინტერი, ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს : „ექვსი ათას წელზე მეტია, ბავშვებს კანონით მკაცრად სჯიან, მაგრამ დაგვეხმარა ეს რამეში? არა. და თუ არა, მაშინ გადაჭრის ეს ჩვენს პრობლემებს მომავალში? თუ აქამდე არ გაამართლა, ახლა როგორ?“.[92] შეუძლებელია არ დაეთანხმო ქალბატონ ვინტერს. წარმოვიდგინოთ ბავშვი, რომელმაც დასაზრახი საქციელი ჩაიდინა და მშობელმა ის კუთხეში დააყენა. ბუნებრივია, რომ მას ექნება შიში, თუ მომავალშიც მსგავს საქციელს ჩაიდენს, კვლავ აღმოჩნდება კუთხეში ან უფრო უარესად დაისჯება. მაგრამ არის თუ არა აღზრდის მთავარი კომპონენტი ბავშვში შიში დანერგვა? უმჯობესია, მასთან ჩატარდეს საუბარი, გასაგებ ენაზე აეხსნას რატომ არის მისი საქციელი მიუღებელი. საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს აღმზრდელობითი ღონისძიებები.

---

[90] იქვე, მე-4 მუხლი
[91] იქვე, 75-ე მუხლის 1-ლი
[92] http://indigo.com.ge/articles/inspiration/ratom-vagzavnit-bavshvebs-sapatimroebshi

შესაბამისად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს ამკ-ის მიხედვით 3 დატვირთვა აქვს.[93]

რა თქმა უნდა, ყოველ შემთხვევაში საუკეთესო ინტერესის ზუსტი გარკვევა რთულია. გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი #10 კომენტარში შემდგომს განმარტავს : „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა კანონდამრღვევი ბავშვების მიმართ გულისხმობს, სისხლის სამართლის ისეთი ტრადიციული ამოცანების ჩანაცვლებას, როგორიცაა რეპრესია/დასჯა - რეაბილიტაციითა და აღდგენითი მართლმსაჯულებით, რაც აუცილებელია განხორციელდეს, საზოგადოების უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინებით.[94]

გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციაც იმავეს მეტყველებს : „ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედებათა განხორციელებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.[95]

მაგრამ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა არასრულწლოვანისთვის ერთნაირი საუკეთესო ინტერესი არსებობს? რას ნიშნავს ეს საუკეთესო ინტერესი ან როგორ უნდა მოხერხდეს მისი დადგენა? არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ზუსტად აქედან გამომდინარე ჩამოთვლის ბევრ პუნქტს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს. არასრულწლოვნები არიან ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ადამიანები, თუმცა თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი აზრი, შეხედულება, მისწრაფებები.

2017 წელს გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გამოსცა „დასკვნითი მოსაზრებები“. ამას წინ უძღოდა საქართველოს მიერ კომიტეტში წარდგენილი მე-4 პერიოდული ანგარიში. კომიტეტი მიესალმა იმ საკითხს, რომ ამკ-ში შეტანილი იქნა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის ცნება. 2013 წლის მე-14 კომენტარის მიხედვით, ბავშვთა კომიტეტმა ურჩია სახელმწიფოს, რომ ყველანაირი ღონე ეხმარა, რათა არასრულწლოვნის ეს უფლება იყოს ინტეგრირებული, გათვალისწინებული, სწორად განმარტებული და

[93] ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“/ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, ი. ვარძელაშვილი გვ 72. თბილისი 2017

[94] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10, პუნქტი მე-10.

[95] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მე-3 მუხლი.

კანონმდებლობაში გაწერილი ყველა სფეროში, მათ შორის დევნილი და უსახლკარო ბავშვების შემთხვევაში. სახელმწიფო ვალდებულია ჩამოაყალიბოს გეგმა და გააცნოს ამ პროცესში მონაწილე ყველა პირს.[96]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დირექტივების მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენის პროცესში უნდა გათვალისწინებული იქნას მისი აზრი; უზრუნველყოფილი იყოს მისი თავისუფლებები; ცალ-ცალკე უნდა იქნას შეფასებული მისი ინტერესები; უნდა დაინერგოს მულტიდისციპლინური მიდგომები ინტერესები დასადგენად.[97]

შესაბამისად, ცხადზე ცხადია, რომ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსასვლელად, ქართველმა კანონმდებელმა გადაწყვიტა, რომ ეს პრიორიტეტული პუნქტი შეეყვანა კოდექსში და გაემყარებინა ბავშვის საუკეთეო ინტერესი.

ამ თემასთან დაკავშირებით გადმოცემულია აგრეთვე კოდექსის განმარტებით ბარათში : არასრულწლოვნები სრულწლოვანებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლებით .სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და მოითხოვენ არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას .[98]

წინგადადგმული ნაბიჯია და არასრულწლოვანზე ზრუნვის მაჩვენებელი მისი საუკეთესო ინტერესების წინა პლანზე წამოწევა. სახელმწიფოს კი უდიდესი პასუხისმგებლობა და ვალდებულება აკისრია მისი ჯეროვნად შესრულებისთვის.

---

[96] ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები, მე-16 პუნქტი, 2017 წლის 9 მარტი. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC/C/GEO/CO/4&Lang=En

[97] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დირექტივები, ნაწილი მესამე, ბ ქვეპუნქტი. 2010 წელი.

[98] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“
პროექტზე

2. არასრულწლოვნის განრიდება და მედიაცია, როგორ საპატიმრო ღონისძიების ალტერნატივა

ამკ-ის კიდევ ერთ უპირობო წინგადადგმულ, ლიბერალურ ნაბიჯად შეგვიძლია შევაფასოთ განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის არასრულწლოვნების მიმართ გამოყენების შესაძლებლობა. განრიდება გულისხმობს პირის გათავისუფლებას სისხლისსამართლებრივი დევნისგან, ხოლო მედიაციის დროს გვყავს მესამე პირი, რომელიც შემრიგებლის სტატუსით მოქმედებს. ორივე ინსტიტუტი წარმოადგენს აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილს. მისი მიზანია, დამნაშავე მოზარდმა აიღოს პასუხისმგებლობა ჩადენილ ქმედებაზე და მოახდინოს საზოგადოებაში სწრაფი ინტეგრაცია. [99] აღდგენითი მართლმსაჯულებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს როგორც დამნაშავისა და დაზარალებულის შერიგება და ურთიერთობების დალაგება, აგრეთვე საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამკ-ის მეექვსე თავი განკუთვნილია არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გათავისუფლების შესაძლებლობსთვის. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 120-ე ბრძანებით, არასრულწლოვნის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მსუბუქ, არარეპრესიულ და ადეკვატურ ზომებს.

თუ დადგინდა, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში განსახილველია, არსებობს თუ არა განრიდების გამოყენების საშუალება და რამდენად შეასრულებს ის მართლმსაჯულების მიზანს - რამდენად შესძლებს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია/რეაბილიტაციას. განრიდების გამოყენების მოთხოვნა შეუძლია როგორც პროკურორს, ასევე სასამართლოს ან თავად მხარეს. კოდექსი აწესებს რიგ მოთხოვნებს, რომელზეც უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება, როგორიცაა : არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, ზიანის ოდენობა და ა.შ. [100] თუ გადაწყვეტილება მიღებული იქნა, დგება განრიდების ან განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება მხარეებს შორის.

---

[99] არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, მ. შალიკაშვილი, გვ 7, თბილისი, 2013

[100] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 38-ე მუხლი

კოდექსმა აგრეთვე ჩამოაყალიბა განრიდების ღონისძიებები და ის დავალებები, რომელიც შეიძლება არასრულწლოვანს დაეკისროს. [101] ამასთანავე, მინიშნებულია, რომ ეს არ არის ამომწურავი სია, რადგან შესაძლოა არსებობდეს ისეთი ღონისძიება, რომელიც უკეთესად იმოქმედებს არასრულწლოვანზე და ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაციას.

აღსანიშნავია სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ამკ-ს შემოღების შემდგომ, არასრულწლოვნების განრიდების მაჩვენებელი მკვეთრად გაიზრდა და თითქმის 50% 18-21 წლის ახალგაზრდები არიან.[102]

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზანია გამოასწოროს კონფლიქტითა და დანაშაულით გამოწვეული დავა. მოცემული პროგრამით სამართალდამრღვევი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას, ქმედების მიზეზებს, ზემოქმედებას სხვა ადამიანზე.[103] მნიშვნელოვანია, რომ ამ პროგრამის მიხედვით, დაზარალებულს აქვს საშუალება პირდაპირ დადგეს მისი მჩაგვრელის წინაშე, გაუზიაროს ემოციები, მიახვედროს თავისი სიტყვებით, რამდენად მძიმე ზიანი მიიაყენა მას, შესთავაზოს ან მიიღოს შეთავაზება შერიგებაზე. ამასთანავე, მოისმინოს, რა მიზეზები ჰქონდა დამნაშავეს, რაზე ფიქრობდა და ა.შ. კანონში კონფლიქტთან მყოფ არასრულწლოვანს აქვს საშუალება აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზიანი, შეუსრულოს რაიმე დავალება, მოიხადოს ბოდიში. რა თქმა უნდა, მედიაციის პროცესში დიდი პასუხისმგებლობა აკისრია თავად მედიატორს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მშვიდი ვითარება და ემოციების შეკავებაზე იზრუნოს. ამასთანავე, ხშირია, რომ მხარეებს მხოლოდ საკუთარი თავი ჰგონიათ მართალი. მედიატორი არის მესამე, დამოუკიდებელი პირი, რომელიც გვერდიდან უყურებს მოვლენებს და გარკვეულ ასპექტებზე შეუძლია უფრო მეტი ყურადღების გამახვილება, სხვა თვალით წარმოჩენა.

სასჯელის, მით უმეტეს, თავისუფლების მოკლევადიანი აღკვეთის ალტერნატივად უფრო გამართლებული და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესზე მორგებულია განრიდების ღონისძიების გამოყენება. როგორც მანამდე აღვნიშნე,

[101] იქვე, 42-ე და 45-ე მუხლები
[102] http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo
[103] განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, მ. ქუთათელაძე, გვ 33, თბილისი, 2017

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება აგებული უნდა იყოს აღზრდაზე, გამოსწორებაზე და არა დასჯაზე, სტიგმატიზაციაზე. დადებითად შეიძლება შეფასდეს ამკ-ში ჩამოთვლილი განრიდების ღონისძიებები, რომელიც საკმაოდ ფართო შესაძლებლობებს იძლევა, არის მეტად ზოგადი და მოიაზრებს გაცილებით მეტს. თუ განმტკიცებულია, რომ არასრულწლოვნების მიმართ სასჯელის დანიშვნის ერთ-ერთი მიზანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება ანუ პრევენცია, ყველაზე კარგი საშუალებაა აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებების გამოყენება. ბუნებრივია, საჭიროა სიფრთხილე, რათა არ გაჩნდეს ე.წ. დაუსჯელობის შეგრძნება და მთლიანმა პროცესმა გამოიღოს დადებითი შედეგი. აქედან გამომდინარე, განრიდების პროცესში უმჯობესია ჩაერთოს ფსიქოლოგი, ექიმი, სოციალური მუშაკი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი განათლება/უნარები, რათა შეძლონ სრული სურათის წარმოდგენა.

მნიშვნელოვან ნოვაციად შეიძლება აღინიშნოს ამკ-ის მიერ დადგენილი ნორმა, რომლის მიხედვითაც 18-21 წლის მოზარდების მიმართაც შეიძლება განრიდებისა და მედიაციის ღონისძიებების გამოყენება.[104] აქ ვხვდებით გერმანული სამართლის გავლენას, სამწუხაროდ, მხოლოდ გარკვეულწილად. როგორც უკვე ვისაუბრე, გერმანიის ამკ გარკვეული პირობების გათვალისწინებით ვრცელდება 18-21 წლამდე მოზარდებზეც. ვიმედოვნებ, რომ მოცემული გამონაკლისი დროთა განმავლობასი მთლიან კოდექსზეც გავრცელდება.

აქვე შეგვიძლია განვიხილოთ აღდგენითი მართლმსაჯულება გერმანიის მაგალითზე. როგორც მანამდეც ვისაუბრე, გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მთლიანად ორიენტირებულია აღზრდასა და გამოსწორებაზე. შესაბამისად, დამკვიდრებულია ყველანაირი ცნობილი საშუალება, რათა აცილებული იყოს ყველაზე მძიმე სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა. ხშირია, რომ კონფლიქტი, რომელიც დანაშაულის ჩადენით მოხდა, არ წყდება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ. გერმანიაში მიღებულია ე.წ. Täter-Opfer-Ausgleich, რაც გულისხმობს სამართალდამრღვევის დაზარალებულთან დანაშაულის „გაქვითვას“. ამოსავალ ნორმას ვხვდებით გერმანიის სსკ-ში, რომელიც განმარტავს, რომ ქმედების ჩამდენმა უნდა ეცადოს

[104] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი

მთლიანად და ნაწილობრივ გაუწიოს დაზარალებულს კომპენსაცია [105] . არასრულწლოვნებთან მიმართებით მედიაციის დათქმას ვხვდებით ამკ-ში, რომელიც აღმზრდელობით ერთ-ერთ ღონისძიებად ასახელებს შესაძლებლობას, რომ არასრულწლოვანმა უნდა ეცადოს დაზარალებულთან შერიგება, დანაშაულის „გაქვითვა“. [106] რაც შეეხება განრიდებას, გერმანიის ამკ პროკურორს აძლევს დისკრეციას უარი თქვა სისხლისსამართლებრივ დევნაზე, თუ გატარებულია აღმზრდელობითი ღონისძიებები (მათ შორის, დაზარალებულთან შერიგება).[107]

განრიდების ინსტიტუტს მოიხსენიებენ როგორც არა კლასიკურ, ტიპობრივ სასამართლო განხილვას, არამედ იმ ღონისძიებას, რომლის დროსაც ავტონომია თავად მხარეებს გააჩნიათ. აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებები აგრეთვე გამოირჩევიან ფინანსური შეღავათიანობით, რა დროსაც არ აწესებენ ჰეგემონიას სხვა სისხლისსამართლებრივ სანქციებზე. ამასთანავე, მაგალითები, რომლებმაც დადებითი შედეგები აჩვენა დაზარალებულებთან მიმართებით (მათ შორის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მხრივ) გვიჩვენებს განრიდებისა და მედიაციის უპირატესობაზე.[108]

3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა

„საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების აღსრულება უნდა ხდებოდეს ინდივიდუალიზებული შეფასების შედეგებისა და პროცესებში ჩარევის დადგენილი პროფესიული სტანდარტების შესაბამისი მეთოდების საფუძველზე“.[109]

ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება უაღრესად მნიშვნელოვანია და გადაბმულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რადგან მოსამართლე ზუსტად ამ ორ პირობას აქცევს ყურადღებას

[105] StGB § 46a
[106] JGG § 10
[107] იქვე, § 45 Abs.2
[108] Handbuch Jugendkriminalität/Wiedergutmachung statt Strafe? Restorative Justice und der Täter-Opfer-Ausgleich, T.Lutz, S. 613, Wiesbaden, 2018
[109] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC (2008)11 ევროპული წესების არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით სანქციებისა და ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, წესი 39.1

სასჯელის დანიშვნისას [110] . კოდექსმა პრინციპის დონეზე დააწესა ის, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება არასრულწლოვნის ასაკი, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა,შ. [111] ამ ყველაფრის განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. მასში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის/სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და შესაბამისად, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული
ღონისძიებები. [112] ინდივიდუალური ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესის, სტანდარტის განსაზღვრისთვის ქართულ რეალობაში გვაქვს საქართველოს იუსტიციის მინისტრის,
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის
ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23. მოცემული ბრძანებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში : განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას, სასჯელის დანიშვნისას, საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას. მოცემული ბრძანების მიხედვით გაწერილია ანგარიშის შედგენის პროცესის მონაწილე ყველა პირის ვალდებულებები, ვადები და აგრეთვე შეტანილია სპეციალური ფორმები, რის მიხედვითაც ის უნდა შედგეს. ფორმა საკმაოდ სრულყოფილია, გააჩნიათ განსხვავებები და დეტალებშია ჩაღრმავებული.

თუმცა, არ ვეთანხმები იმ დათქმას, რომ ინტერვიუ არასრულწლოვანთან ან მის ოჯახის წევრთან შეიძლება შედგეს ტელეფონის მეშვეობითაც. [113] ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ მიმიკებისა და ჟესტების მეშვეობით შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, თუ რამდენად გულწრფელია ადამიანი, ეშინია თუ არა,

---

[110] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლი
[111] ამავე კოდექსის მე-14 მუხლი
[112] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“
პროექტზე, გვ. 69
[113] საქართველოს იუსტიციის მინისტრის,საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის
ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23. დანართი 2, მუხლი 3, ნაწილი 3

მორცხვობს და ა.შ. სატელეფონო საუბრისას სოციალურ მუშაკს ესმის მხოლოდ ხმა და ვერ ხედავს პიროვნებას. უმჯობესია, რომ ინტერვიუ ყოველთვის შედგეს პირისპირ, რათა იყოს მეტად ობიექტური. აგრეთვე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ინიშნება 1 სოციალური მუშაკი, რაც შესაძლოა გახდეს პრობლემა. უფრო სრულყოფილი და ობიქტური ანგარიშისთვის მისაღებია მინიმუმ 2 ადამიანის შეხედულებების გათვალისწინება და ერთიან პოზიციაზე შეჯერება. მოცემული ხარვეზი გამოსწორებულია მესამე დანართში, სადაც დგება სპეციალური მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც შედგება როგორც სოციალური მუშაკისგან, ასევე ფსიქოლოგისგან, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მომსახურისგან და ექიმისგან. [114] საინტერესოა აგრეთვე თავად მსჯავრდებულის ინტერესების გათვალისწინება - მას შეუძლია სრულიად არ დაეთანხმოს შედგენილ გეგმას. ამ დროს ჯგუფს შეუძლია შესთავაზოს ახალი გეგმა, უარის თქმიდან არაუგვიანეს 3 თვისა.[115] ვფიქრობ, ამ შემთხვევაში სიტყვა „შესაძლებელია“ უნდა იყოს შეცვლილი „ვალდებულია“-თი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნეს გადახედილი გეგმა, რომელიც დაწუნებული იყო. რის გამო მოხდა ეს, ხომ არ იყო შეუსაბამო ან, თუნდაც, შეურაცხმყოფელი ან ღირსების შემლახველი.
ბრძანებაში სხვანაირი მიდგომაა დაწესებული მეოთხე დანართში,სადაც იგივე უარი არანაირ ზეგავლენას არ ახდენს გეგმის აღსრულებაზე.[116]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ნამდვილად უმნიშვნელოვანესია არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პროცესის მსვლელობისას. სასამართლოს უნდა ჰქონდეს მეტი შესაძლებლობა, რომ დანიშნოს შესაბამისი სასჯელის სახე და ზომა. როგორც უკვე ვისაუბრე, ინდივიდუალური მიდგომა აუცილებელია მოზარდისთვის. არ არსებობს ორი იდენტური დანაშაული და მისი ჩამდენი პირი. განსხვავებებს შევხვდებით როგორც ჩადენის ხერხში, მსვლელობაში, პერიოდში, აგრეთვე დამნაშავის ოჯახურ და სოციალურ გარემოში. ნათელი სურათის შესაქმნელად აუცილებელია სპეციალიზებული პირების მიერ არასრულწლოვნის გულდასმით შესწავლა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ანგარიშს კი ზუსტად თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დროს

[114] იქვე, დანართი 3, მუხლი 3
[115] იქვე, დანართი 3, მუხლი 6, ნაწილი 7
[116] იქვე, დანართი 4, მუხლი 6, ნაწილი 3

აქვს. სასამართლოს, თავის მხრივ, ჰმართებს ანგარიშის დეტალური შესწავლა და იმ გარემოებების გამოკვეთა, რომელიც ამა თუ იმ სასჯელსა თუ აღმზრდელობით ღონისძიებას მყარ საფუძვლად დაედება.

სისხლის სამართლის პოლიტიკის რეფორმის ფარგლებში პირორიტეტულია სასჯელის დანიშვნისას სამართლის როლის გაზრდა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის მაღალი ხარისხის მიღწევა, რისთვისაც აუცილებელია ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. [117] სახელმწიფოს აქვს ნაკისრი ვალდებულება ამ შემთხვევაში გამოასწოროს მინიმალური ხარვეზებიც კი, რათა არასრულწლოვნების მიმართ ლმობიერი მიდგომა იყოს სრულყოფილად გამოხატული.

4. არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნის პრიორიტეტულობა

„არც ერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თავისუფლება უკანონო ან ნებისმიერი სახით. დაპატიმრება, დაკავება ან დატუსაღება ხორციელდება კანონის თანახმად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში“.[118]

მოცემულმა ნორმამ თავისი გამოვლინება, ფაქტობრივად, ყველა კოდექსში ჰპოვა. გამონაკლისი არ არის ამკ, რომელიც პრინციპების თავში აწესებს პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.[119] სასჯელის შეფარდებისას პირველ რიგში განხილული უნდა იქნას ყველაზე მსუბუქი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეფარდოს უფრო მძიმე ზომა, თუ დადგინდება, რომ მსუბუქი საშუალება მიზანს ვერ მიაღწევს. ეს ყველაფერი კი პირდაპირ კავშირში არის კონსტიტუციით განმტკიცებულ მიმოსვლის თავისუფლებასთან.[120] თუმცა, როგორც ცნობილია, ეს უფლება არ არის აბსოლუტური, შესაბამისად არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.

---

[117] ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“ /ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობაარასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, თ.მახარობლიძე, გვ. 86, თბილისი, 2017

[118] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 37-ე მუხლის „ბ“ პუნქტი

[119] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლი

[120] საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი

შეზღუდვა დასაშვებია კანონის შესაბამისად, რასაც ამავე მუხლში ვკითხულობთ. ამკ-ში არ იგულისხმება პატიმრობა, როგორც მხოლოდ აღკვეთის ღონისძიება, არამედ ისეთი სახე, როდესაც პირისთვის თავისუფალი მიმოსვლა აკრძალული ან შეზღუდული ხდება. ყოველი შემთხვევისას მოსამართლე უნდა გამოვიდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარი მიზნებიდან და არ იყოს აბსტრაქტული, ზერელე მინიშნება.

არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებისთვის. ხშირია, რომ მოზარდები ბოლომდე ვერ იაზრებენ საკუთარ დანაშაულს. შესაბამისად, ყოველი დანაშაულისთვის თუ გამოყენებული იქნება პატიმრობა, შემდგომ თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს ციხეები იქნება გადატვირთული. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია მოვიტანოთ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები, რომელიც მართალია ჯერ კიდევ 1999 წელს არის დაწერილი, თუმცა დღემდე აქტუალურია და რეალობასთან მისადაგებული. რეკომენდაციები ეხება ციხის გადატვირთულობას. მკაფიოდ გამოხატულია ის, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს და გადახედოს სხვადასხვა დანაშაულებს, მოახდინოს დეკრიმინალიზაცია ან სანქციის ტიპის შეცვლა. აგრეთვე, აღნიშნულია, რომ ხელისუფლების პრეროგატივაა სხვადასხვა ზომების შერჩევა, დამატება, რომელიც შეცვლის მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას. შემოთავაზებულია მთელი რიგი სანქციები და ზომები, რომელთა შემოღება და ჩანაცვლება იქნება მიზანშეწონილი. საინტერესოა იმის რეკომენდაციაც, რომ ქვეყნის კანონმდებელს აკისრია ვალდებულება განსაზღვროს ისეთი ზომები და სანქციები, რომელიც შეამცირებს პატიმრობას და მაგალითად მოტანილია განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტები, რომელთა დიდ როლზე უკვე ვისაუბრე. აღნიშნულია აგრეთვე ის, რომ ხელი უნდა შეეწყოს იმ ზომების განვითარებას, რომლებიც შეამცირებენ არსებული სასჯელის მოხდის ვადებს, მაგალითისთვის, პირობით ვადამდე გათავისუფლება, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია. [121]

საკმაოდ დიდია პროცესის მონაწილეების როლი იმაში, რამდენად ყურადღების მოეკიდებიან მოცემულ პრინციპს. მოსამართლეთა ქცევის კოდექსი ან პრაქტიკული სახელმძღვანელო უნდა მოითხოვდეს, რომ სერიოზულად იქნეს

[121] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (99) 22 ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე

განხილული იმ არასაპატიმრო ალტერნატივის გამოყენება, რომელიც ლოკალურად ხელმისაწვდომია, წინასწარი პატიმრობის ან საპატიმრო სასჯელის შეფარდების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.[122]

ბუნებრივია, ზოგ შემთხვევაში აუცილებელია და სხვა გამოსავალიც არ აქვს მოსამართლეს, შესაბამისად ნიშნავს საპატიმრო სასჯელს/ღონისძიებას. თუმცა, ნაკლებად მძიმე და ზოგიერთ მძიმე შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება აღმზრდელობით ღონისძიებებს. მცირე შედარების სახით : რა იქნება არასრულწლოვნისთვისა და საზოგადოებისთვის კეთილის მომტანი - თუ მოზარდი იქნება ციხეში, მოიხდის სასჯელს, გაივლის რეაბილიტაციის პროგრამას თუ, პირობითად, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით იქნება დაკავებული? ყოველ შემთხვევაში, სასჯელის მიზნიდან უნდა გამოვიდეთ. თუ გვაქვს იმის პრეტენზია, აღვზარდოთ მშრომელი, კეთილსინდისიერი, კანონის მორჩილი ახალგაზრდა, მაშინ ციხე მას არა თუ გამოასწორებს, შესაძლოა უარესი დაღი დაასვას. არასრულწლოვანს უნდა მიეცეს საშუალება თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივ კეთილდღეობაში.

მოცემულ თემასთან დაკავშირებით საერთაშორისოდ ცნობილია ე.წ. „ტოკიოს წესები“. მოცემული წესები ადგენს საბაზისო პრინციპების ნაკრებს, რომელიც ხელს უწყობს არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას და აწესებს მინიმალურ გარანტიებს იმ პირთა მიმართ, რომლებთაც შეეფარდებათ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელი.[123] მოცემული წესების მიხედვითაც ხდება სხვა ისეთი ღონისძიებების წახალისება, რომელიც არ იქნება დაკავშირებული პატიმრობასთან. სახელმწიფოზე დაკისრებულია ვალდებულება, რათა მოახდინოს მსგავსი ზომების შემოღება ადგილობრივ კანონმდებლობაში და აგრეთვე როგორც მსჯავრდებული და დაზარალებული პირების უფლებებს, ისე საზოგადოებისა და კრიმინალის პრევენციის საკითხს დაუთმონ ყურადღება. ტოკიოს წესები უნდა გავრცელდეს ყველაზე, მიუხედავად სქესის, რასის, კანის ფერის, ასაკისა და ა.შ. გაეროს ეს დოკუმენტი შედგება 8 თავისგან, რომლებშიც საგულდაგულოდ არის განხილული ის რეკომენდაციები და დებულებები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. თითოეული სასჯელის

[122] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ქ. ჰამილტონი, გვ 50, თბილისი 2011 წ.

[123] გაეროს მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, 1990 წლის 14 დეკემბერი

დანიშვნისას მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს სამართალდამრღვევის საჭიროებები და პერსპექტივა, როგორ დაუბრუნდება ის ჩვეულებრივ ცხოვრებას. ტოკიოს წესები ჩამოთვლის იმ ალტერნატივებს, რაც შეიძლება იქნეს გამოყენებული დამნაშავის მიმართ, როგორიცაა : ვერბალური სანქციები, პირობის ვადამდე გათავისუფლება, ჯარიმა, საკუთრების კონფისკაცია, დაზარალებულისთვის ქონების დაბრუნება, პირობითი მსჯავრი და ა.შ. [124]

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ხასიათის რეკომენდაციები საკმაოდ დიდი ხნის წინ არის მიღებული, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მათ მნიშვნელობასა და აქტუალობას არ აკნინებს. პირიქითაც კი, მათი გამოყენება, გათვალისწინება სავალდებულოა ისევე, როგორც არასაპატიმრო ღონისძიებების ხშირი გამოყენება, განსაკუთრებულად არასრულწლოვანთა მიმართ.

IV. არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება საერთაშორისო სამართლის ჭრილში

არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებულ მიდგომაზე ბევრი დაიწერა, ითქვა. ამკ ზუსტად ამ მიზნით შეიქმნა - ხაზი გაესვას იმას, რომ არასრულწლოვნებს განსხვავებული მიდგომა ესაჭიროებათ. საკუთარ ფესვებს კი ეს კოდექსი სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტში ჰპოულობს, რომელთა ნაწილი უკვე განვიხილე.

ყველაზე მნიშვნელოვნად შეგვიძლია მივიჩნოთ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია. პირველივე მუხლით ის განმარტავს, რომ ბავშვად მოიხსენიება პირი 18 წლამდე. მოცემული კონვენცია პირდაპირ ავალებს წევრ სახელმწიფოებს, რომ გამოიჩინონ განსაკუთრებული მზრუნველობა ბავშვის მიმართ, შეუქმნან შესაბამისი გარემო, ხელი შეუწყონ განვითარებაში. ამის ერთ-ერთ საშუალებად მოხსენიებულია ქვეყნის კანონმდებლობის მორგება. მოცემულ დოკუმენტში განმტკიცებულია ისეთი უფლებები, როგორიცაა : თავისუფლების, განათლების, ჯანმრთელობის უფლება და ა.შ. ბუნებრივია, ვერ მოხერხდა გვერდის ავლა კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდისთვის, რომლისთვისაც განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთის უკიდურეს შემთხვევაში გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო გამოყენებისას - ჰუმანური მოპყრობისა და ღირსების

[124] იქვე, 8.1.

პატივისცემის პირობა. კონვენცია აგრეთვე ხაზს უსვამს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.[125]

გაეროში მოქმედებს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტი, რომელსაც რამდენჯერმე აქვს რეკომენდაციები და დასკვნები გაკეთებული საქართველოს მიმართ, რომლებზეც მაღლა უკვე ვისაუბრე.

არასრულწლოვანთა მიმართ არანაკლებ მნიშვნელოვანია ე.წ. „პეკინის წესები", რომლებიც 1985 წელს შეიქმნა, რადგან ეს წელი გამოცხადებული იყო ახალგაზრდობის წლად და მნიშვენლოვან დოკუმენტს წარმოადგენს. თავის მხრივ, ის აწესებს ვალდებულებას სახელმწიფოებისთვის, რომ იზრუნონ ახალგაზრდებზე, მათ შორის იმ პერიოდში, როდესაც ისინი ყველაზე უფრო მიდრეკილები არიან დანაშაულის მიმართ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უნდა დაინერგოს ყველაზე ქვეყანაში და უნდა უზრუნველყოს სოციალური სამართლიანობა. პეკინის წესები პირდაპირ არ მიუთითებს სისხლისსამართლებრივი ასაკის ზღვარზე, თუმცა აღნიშნავს, რომ არ უნდა იყოს იმდენად დაბალი, რომ გაჩნდეს ეჭვი - ესა თუ ისე პირი არ არის იმდენად განვითარებული, რომ დაისაჯოს. დოკუმენტში გაწერილია რეკომენდაციები სასამართლო და საგამოძიებო პროცესის მსვლელობისთვის, აგრეთვე სპეციალიზებული პირების არსებობის შესახებ. პეკინის წესებმა ვერ აუარა გვერდი აგრეთვე არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთასა და პატიმრობას. როგორც აღნიშნულია, ეს უნდა გამოიყენებოდეს საგამონაკლისო შემთხვევაში და უპირატესობა ენიჭება სხვა ღონისძიებებს. აუცილებელია, რომ სახელმწიფომ თავის მხრივ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება და არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულებისას გამოიყენოს განმავითარებელი ღონისძიებები.[126]

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ საინტერესო დოკუმენტად შეგვიძლია მოვიხსენიოთ აგრეთვე ე.წ. „რიადის პრინციპები", რომლებიც აგრეთვე გაეროს მიერაა მიღებული 1990 წელს. მის მიხედვით, ახალგაზრდებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებაში და იყონ მისი სრულფასოვანი წევრი. თუ ისინი ჩართული იქნებიან კანონის მიხედვით ცხოვრებაში და განახორციელებენ

[125] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1990 წელი

[126] გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ, 1985 წელი

სოციალურად სასარგებლო ქმედებას, მაშინ დანაშაულის დონეც დაიწევს. გაერო სახელმწიფოებს სთავაზობს, რომ უზრუნველყონ განათლება, შეიმუშავონ განსაკუთრებული თეორიები დანაშაულის პრევენციისთვის, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით ოფიციალური ორგანოები ჩაერიონ პროცესში, უზრუნველყოფილი იყოს ბავშვის კეთილდღეობა, გათვალისწინებულ იქნას ახალგაზრდების სოციუმისთვის მიუღებელი ქმედებები და ა.შ. სახელმწიფომ უნდა მოახერხოს ყოველმხრივი ანალიზი, შეიმუშავოს მრავალფეროვანი მექანიზმები, განაახლოს პროგრამები და გაზარდოს მათი რაოდენობა. მნიშვნელოვანია ოჯახისთვის ხელისშეწყობა. არც ერთი ბავშვის არ უნდა იყოს უსამართლო მოპყრობის მსხვერპლი.[127]

კიდვე ერთი მნიშვნელოვანია დოკუმენტია ე.წ. „ჰავანის წესები", აგრეთვე გაეროს მიერ შედგენილი, 1990 წელს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებამ უნდა მოახდინოს ახალგაზრდების უფლებების დაცვა. მითითებულია, რომ თავისუფლების აღკვეთა უნდა მოხდეს მხოლოდ პეკინის წესების პრინციპებიდან გამომდინარე. აქაც, როგორც სხვა დოკუმენტებში ვხვდებით Ultima Ratio-ს პრინციპს, ანუ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მხოლოდ ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში. ამასთანავე, მითითებულია, რომ სასჯელის დანიშვნისას არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობა. ჰავანის წესები მოიცავს მინიმალურ სტანდარტებს იმ ბავშვების დასაცავად, რომლებთაც ნებისმიერი ფორმით აღეკვეთათ თავისუფლება. მოცემული დოკუმენტი დიდ ყურადღებას ამახვილებს ბავშვის უფლებებზე და დამნაშავის შემდგომ რეაბილიტაციაზე საზოგადოებაში. ყველა არასრულწოვანი უნდა იყოს მოთავსებული ისეთ პირობებში, რომელიც არ იქნება მისთვის პატივისა და ღირსების შემლახველი და უზრუნველყოფს ყველა მის მოთხოვნილებას. ბუნებრივია, არასრულწლოვნები უნდა მოთავსდნენ სრულწლოვნებისგან განცალკევებით. ჰავანის წესები აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე, რომელიც უმოკლეს დროში უნდა შედგეს. ასევე აღნიშნულია არასრულწლოვნის განვითარების შესაძლებლობაზე, მაგალითად, განათლების მიღება, დასვენება, რელიგიურ და სულიერ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და ა.შ. გვერდაუვლელია

[127] გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ, 1990 წელი

არასრულწლოვნის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და გარე სამყაროსთან კონტაქტი, რომელიც ჰუმანური მოპყრობის საფუძვლადაა ნახსენები.[128]

საინტერესო დოკუმენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, სადაც ცალკე თავი არის დათმობილი არასრულწლოვანი პატიმრებისთვის. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ არასრულწლოვნები ცალკე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსნდნენ. მათ უნდა გაეწიოთ სოციალური, ფსიქოლოგიური, საგანმანათლებლო მომსახურება. მათზე უნდა იზრუნონ რელიგიურ და გამაჯანსაღებელ ჭრილში. აგრეთვე, აუცილებელია არასრულწლოვნისთვის ხელის შეწყობა ციხიდან გათავისუფლების შემდგომაც. [129]

აღსანიშნავია ევროპული წესები არასრულწლოვნების მიმართ, რომელიც წარმოადგენს 2008 წლის დოკუმენტს. ის ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვნის უფლებებზე. ნებისმიერი სანქცია თუ ზომა უნდა შერჩეული იყოს არასრულწლოვნის სოციალური ინტეგრაციის მიზნიდან გამომდინარე. დოკუმენტი არ აწესებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, არამედ ამის პრეროგატივას ქვეყნის შიდა კანონმდებელს აკისრებს, თუმცა მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ასაკი არ უნდა იყოს შეუსაბამოდ დაბალი. სანქციები და ზომები უნდა გამომდინარეობდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესიდან და გათვალისწინებული უნდა იქნეს პირის ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, განვითარების დონე, პოტენციალი, პირადი გარემოებები. შეფარდებული სასჯელი არ უნდა იყოს დამამცირებელი და გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ პროპორციით და დროით, რომელიც აუცილებელია მიზნის მიღწევისთვის. საინტერესოა, რომ ევროპული წესები აღნიშნავენ მოზარდების შესახებ (18-21 წელი), რომლებზეც დაშვებულია გავრცელდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. ის აგრეთვე აწესებს აღიარებულ ნორმას, რომ თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ითვალისწინებდეს პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობას. თავისუფლებააღკვეთილი ახალგაზრდებისთვის უნდა დაიგეგმოს ღონისძიებები, რომლებიც იზრუნებს მათ

[128] გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის დასაცავად, 1990 წელი

[129] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით

განვითარებაზე. გამახვილებულია ყურადღება აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაზე, რომელიც მოთხოვნილებებს მორგებული და ჩვეულებრივ პირობებთან მიახლოებული იყოს. არასრულწლოვნები უნდა მოთავსდნენ თავიანთ სახლთან და ოჯახთან ახლოს მყოფ დაწესებულებაში. აუცილებელია სრულწლოვნებისგან განცალკევებით მოთავსება. საინტერესო ჩანაწერია ასევე სქესის მიხედვით დაყოფა - გოგონები და ვაჟები ცალცალკე უნდა იმყოფებოდნენ. თუ არასრულწლოვანი ფსიქიკურად აშლილია, ის აუცილებლად შესაბამის ფსიქიატრიულ კლინიკაში უნდა მოთავსდეს. საკნები, სადაც მსჯავრდებულები იმყოფებიან, უნდა აკმაყოფილებდეს ყველანაირ მოთხოვნებას და არ იყოს ღირსების შემლახველი. დაცული უნდა იყოს ჰიგიენა. არასრულწლოვნებს აქვთ უფლება ატარონ საკუთარი ტანსაცმელი. არქონის შემთხვევაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს. მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი საკვები და მათ ჯანმრთელობაზე უნდა ზრუნავდნენ. მნიშვნელოვანია აგრეთვე განათლების, მათ შორის პროფესიულის, ხელშეწყობა. არასრულწლოვნებს აქვთ უფლება ჰქონდეთ მუდმივი კონტაქტი გარე სამყაროსთან, რაც გამოიხატება წერილების მიწერაში, სატელეფონო საუბრებში, მონახულებაში. აუცილებელია ბავშვებს ხელი შეუწყონ მოემზადონ სასჯელისშემდგომი პერიოდისთვის.[130]

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო დოკუმენტების, კონვენციის მიხედვით ბავშვის უფლებები მაღალ დონეზეა აყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესი ნაწილი საკმაოდ დიდი ხნის წინ არის დაწერილი, ისინი ამოსავალ წერტილს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისთვის. წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, რომ წესების უმეტესობა გატარებულია ჩვენს ამკ-ში. თუმცა, მხოლოდ ჩაწერა არ არის მთავარია, მთავარია მათი ზედმიწევნით შესრულება და არასრულწლოვანზე განსაკუთრებული ზრუნვის გამოჩენა.

[130] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC (2008)11 ევროპული წესების არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით სანქციებისა და ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით

დასკვნა

2016 წლის ამკ-ის შემოღება ნამდვილად პროგრესული ნაბიჯი იყო. სახელმწიფომ გამოავლინა ნება, რომ მეტად დაეთმო ყურადღება ბავშვისთვის, ახალი თაობისთვის, რომელიც რეალურად ქვეყნის მომავალია. სახელმწიფომ საერთაშორისო სამართლისა და პროგრესული ქვეყნების მაგალითზე თავადაც იკისრა ვალდებულება განევითარებინა და ახალ საფეხურზე აეყვანა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. იმისდა გათვალისწინებით, რომ კოდექსი სულ რაღაც 3 წლისაა, ის ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფას. ბევრგან ორაზროვანია, გაუგებარი. აგრეთვე წინააღმდეგობაში მოდის აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული სიფრთხილით არის გამოსაყენებელი ნორმები, რომელიც, შესაძლოა, სულაც არ არის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებში, არამედ პირდაპირი თუ ირიბად აზიანებს მას. არსებობს პრობლემები, რომელიც საჭიროებს უფრო ფართო ხედვას, სხვა ქვეყნების, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის პრაქტიკის გაზიარებას. ჩემს მიერ განხილულიდან ნათლად გამოჩნდა ის, რომ ქართული ამკ და პრაქტიკა მეტად იხრება არასრულწლოვნის დასჯისკენ, დანაშაულის პრევენციისკენ, ვიდრე აღზრდისა და რესოციალიზაციისკენ. გერმანიის სტატისტიკური მონაცემების შედარებისას გამოიკვეთა აშკარა, თვალშისაცემი და სახიფათო სხვაობა თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახით გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოს მიერ არ არის განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი არასაპატიმრო ღონისძიებებისთვის, რომელთა გამოყენება, საერთაშორისო სამართლით, პირდაპირ არის დაწესებული და სხვადასხვა დოკუმენტებში მკაფიოდ აღწერილი. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ყველანაირი საშუალებით ეცადოს მოახდინოს კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი არასრულწლოვნის საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნების ხელშეწყება, რაშიც უნდა იყონ ჩართული არა მხოლოდ სამართალდამცველები, არამედ ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ექიმები, მასწავლებლები და სასულიერო პირებიც კი. თითოეულ ადამიანს უნდა მიეცეს საკუთარი შეცდომის გამოსწორების შანსი, მით უმეტეს მას, ვინც ცხოვრება ახლა დაიწყო.

რეკომენდაციები

უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიმაჩნია ამკ-ში უფრო მეტი აღმზრდელობითი ღონისძიებების შეტანა, პირობით ვადამდე გათავისუფლების, ასევე განრიდებისა და მედიაციის უფრო ხშირად გამოყენება. ამასთანავე, სასურველია მთლიანი ამკ გავრცელდეს 18-21 წლამდე მოზარდებზე, რომლებიც გონებრივი განვითარებით ჯერ კიდევ ბავშვებს წარმოადგენენ. უპირობოდ მიმაჩნია თავისუფლების აღკვეთის უკიდურეს შემთხვევაში გამოყენების საშუალება და, რაც მნიშვნელოვანია, მოცემული სასჯელის სახის მაქსიმალური ვადების დაწევა. რაც არანაკლებ საგულისხმოა, ყველა შემთხვევაში შინაპატიმრობა ვერ იქნება როგორც თავისუფლების აღკვეთის საუკეთესო ალტერნატივა. კოდექსიდან აუცილებლად უნდა იქნეს ამოღებული დათქმა „წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი“, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს. არასრულწლოვნებისთვის უნდა დაიგეგმოს რაც შეიძლება მეტი აქტივობა, შემუშავდეს ინდივიდუალური გეგმები, რაც მათ რესოციალიზაციას შეუწყობს ხელს.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016

არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ქ. ჰამილტონი, თბილისი 2011

არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა/ სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, თ. მახარობლიძე, თბილისი, 2017

არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა/ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა, ი. ვარძელაშვილი, თბილისი, 2017

არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, მ. შალიკაშვილი, თბილისი, 2013

არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა, 31 ოქტომბერი, 2017 წელი. http://pog.gov.ge/res/docs/public_information/arasrulclovanta_mimart_sisxli_samartlis_politika.pdf

ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები, 2017 წლის 9 მარტი. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC/C/GEO/CO/4&Lang=En

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10

განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე

განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, მ. ქუთათელაძე, თბილისი, 2017

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ი.შვაბე, თბილისი, 2011

ჟურნალი სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები/ სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, მ. ივანიძე, თბილისი, 2017

ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები"/ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, ი. ვარძელაშვილი. თბილისი 2017

ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები" /ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, თ.მახარობლიძე, თბილისი, 2017

სასჯელის მიზნები, ი. ვარძელაშვილი, თბილისი, 2016

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში / საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, თბილისი,

სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მ. ლეკვეიშვილი, თბილისი

უცხოენოვანი ლიტერატურა

Arbeitsanweisungen und Arbeitsauflagen im Jugendstrafrecht, H. Kremerskothen, Konstanz, 2001

Das deutsche Jugendstrafrecht Ziel, Handhabung, Wirkungen. Dr. W. Heinz, 2008

Erziehung krimineller Jugendlicher in kriminalpädagogischen Institutionen\Soziale Integration krimineller Jugendlicher durch Vollzug in freier Formen und offene Unterbringung, K. Dietrich, Heidelberg, 2011

Gewalt und Suizid im Strafvollzug – Ein längsschnittliches DFG-Projekt im thüringischen und nordrhein-westfälischen Jugendstrafvollzug, F. Neubacher, J. Oelsner, V. Boxberg, H. Schmidt. 2011

Handbuch Jugendkriminalität/Wiedergutmachung statt Strafe? Restorative Justice und der Täter-Opfer-Ausgleich, T.Lutz, Wiesbaden, 2018

Jugendstrafrecht 3. Auflage, K.Laubenthal, H.Baier,N.Nestler, Berlin Heidelberg, 2015

Kriminalität und Kriminalitätskontrolle, W.Heinz, Konstanz, 2016

Lebenswelt Gefängnis Einblick in den Jugendstrafvollzug mit Berichten junger Gefangener, T. Weipert. Herbolzheim, 2003

Sanktionen im Jugendstrafrecht – Ziel Handhabung, Wirkungen, W.Heinz, Konstanz, 2006

Strafrecht\Jugendstrafrecht, Prof. B. Behnke, 2017

Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „elektronischen Fußfessel“: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Instituts der Leibniz Universität Hannover, Önel G. 2012

ნორმატიული მასალა

საქართველოს საბჭოთა სოციალური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 1961 წელი

სისხლის სამართლის კოდექსი, 2010

სისხლის სამართლის კოდექსი, 2019

საქართველოს კონსტიტუცია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

პატიმრობის კოდექსი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი. http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/programa.pdf

საქართველოს იუსტიციის მინისტრის,საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23.

JGG

StGB

HessJStVollzG

BGB

Sozialgesetzbuch

საერთაშორისო დოკუმენტები

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ

გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის დასაცავად

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დირექტივები, 2010 წელი.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC (2008)11 ევროპული წესების არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით სანქციებისა და ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (99) 22 ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე

გაეროს მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, 1990 წლის 14 დეკემბერი

გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ, 1985 წელი

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ, 1990 წელი

ინტერნეტრესურსები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები, http://www.supremecourt.ge/

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika

https://www.welt.de/welt_print/article1561528/Harte-Strafen-erhoehen-die-Rueckfallquote.html

http://indigo.com.ge/articles/inspiration/ratom-vagzavnit-bavshvebs-sapatimroebshi

http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo